ნათელთა შესაკრებლების შორის უმთავრესი ღვთაება ქართველებისა იყო მთვარე, მანგი, თუჯი, როგორც ხატება გარეშემოუწერელის ნათელია. მთვარე იყო მთვარეული საქართველოსი. მთვარის თაყვანისცემა, როგორც მთვარეუფისა და ღვთაებისა, ქართველთა ტომის უძველესი სარწმუნოება არის. მას შესწირვიდნენ თავდაპირველად მსხვერპლად ადამიანებს; შემდგომში ადამირთა მაგიერად პირუტყვებსა სწირავდნენ მას. მის ზვარას ნებივრად ინახავდნენ, ჰატვით, სათუთად. მთვარის სამსხვერპლოები ქართველებს გამართული ჰქონდათ მთის წვერებზედ: ეს ადგილები უფრო დაახლოვებულნი არიან მნათობთან. მთვარე ვაჟი — ღმერთი იყო, მამაკაცი. მთვარის უკმ დღედ ორშაბათი ითვლებოდა. ქრტიანობის მიღების შემდეგ მთვარეს დაენაცვლა წმ. გიორგი, სადაც მთვარის სამლოცველები იყო, წმ. გიორგის საყდრები ავაგეთიქ მთვარე ღვთაება ნათელთა შესაკრებლების შორის იყო მზე. ეს იყო ღვთაება ქალი. იგივე მზეა ღვთაება კვირა — ხმელთა მოურავი თუ განმგებელი; იგივეა „ბეშა“, „მიშლიდელი“. გარდა ამ ნათელთა შესაკრებლებისა ქართველებსა ჰყვანდათ სხვა ღმერთებიც: არმაზი, ზოდენი, გაგაცი, აინანი, დანანი, ითუჯ ნა, ანატორი და სხ. კერპთა თაყვანისცემა ჩვენში შემოვიდა სირიიდან, ქალღმერთი დილი ოქროს თიონი და მტირე აზიიდან. გვქონდა კერპთათვის იგებულნი საყუდარნი, გუყვანდა მათთვის მიჩემებულნი ხუცესნი, მამვლელ-მყუდელნი.

არ არის ცნობაში მოყვანილი ქართველთა თქმულებანი ყველა ამ ღმერთებისადა მათ მოღვაწეობის შესახებ. ვერ არის გამორკვეული, რა ურთიერთობა იყო ჩვენ ძირითად რჯულსა, ე. ი. ნათელის თაყვანისმცემლობისა და ამ კერპთა თაყვანისმცემლობის შორის, ან რა სახით დაუკავშირდნენ თქმულენი ნათელღმერთთა შესახებ თქმულებებს კერპთა შესახებ. უნდა კი ყოფილიყო ქართული თეოგონიაც, მეცნიერება ღმერთთა წარმოშობაზედ და კოსმოგონიაც, სწავლა ღმერთთაგან ქვეყნიერების შექმნაზედ, რადგან ქართველნი (ქალღნი) ძველისძველად განთქმული ხალხია, რომელსაც იმთავითვე ბრწყინვალედ ჰქონდა შემუშავებული თვისი რელიგია, სარწმუნოება. ძალიან ძველ დროსვე სტოდნიათ ქართველებს წერა კითხვა, ქრისტეს წინ მესამე საუკუნეში ფარნაოზ მეფისაგან აღიბათ დაქანონდა კიდევ დაკუთხული ასოებიდან მრავალი მოხაზულობის ასოებზედ გარდაქმნილი საადვილო ხელი წერისა შეუძლებელია დაწერილი არა გვქონდა ყოველივე, რაც კი შეეხებოდა ჩვენ რჯულს: თქმულებანი ღმერთებზედ და მათ მოქმედებაზედ, ქვეყნის შექმნაზედ ღმერთთაგან, ადამიანის ცხოვრებაზედ სააქაოს თუ სიქიოს; უნდა ყოფილიყო ლოცვები და ჰიმნები ღმერთთადმი, წესი მსხვერპლთა შეწირვისა და დღესასწაულებისა; ანუ-ხული იქნებოდა ხუცესთა თუ მყუდელთა მოვალეობანი, ტანთსაცმელი ღვთისმსახურების დროს, მათი სასყიდელი და საზოგადოდ ყოველივე, რაც კი შეეხებოდა ძველ სარწმუნოებას, მაგრამ ჩვენაჲდინ ვერ მიადგინა მაშინდელმა სარწმუნოებრივმა მწიგნობრობამ: ალბათ ქრტიანობამ მოსპო

რგი. ვერც დროზედ ჩიწერა ხალხში დარჩენილი მოთხრობები ამ საგნის შესახებ და ჩვენი მითოლოგია ჯერ დაკარგულია. ამ ფრიად საჭირო საკოდნელს გაგვიადვილებდა გამორკვევა ხალხის ჩვეულებებისა, ტრუმორწმუნებისა, რწმენისა; აგრეთვე უწინდელ კერპთა კოლექცია, თუ ოდენ მე მოხერხდა მისი შედგენა.

(გაკვეთილთაგანი),


გ. ბარნავი.

კონსპექტი. 1) ქართველთა მითოლოგიის კავშირი ქართველთა კერპთა თაყვანისმცემლობასთან. 2) ნათელის თა-

ყვანისცემა, როგორც თავდაპირველი სჯული ქართველთა. 3) ძირითადი დებულებები ნათელის თაყვანისმცემლობისა. 4) უმთავრესი ხასიათი ნათელის თაყვანისმცემლობისა და აქედან წარმომდინარე მცნებები. ქართველთა ღმერთები სახელდობრ. 5) დაკარგვა ქართული თეოგონიისა და კოსმოგონიისა. 6) მათი აღდგენის საჭიროება და რა გზით შეიძლება მიახლოვება ამ მიზნისადმი.

თემა: ნათელის თაყვანისმცემლობის ნიშნები ქართველთა ზნე-ჩვეულებებში (მზის ფიცი, ქიაკოკონა, ლოცვა მზის ამოსვლისას, მთვარის სიმღერები...).

გ. ბარნავი.



ვინაობის სუფიქსი—**არ** ქართულ ენაში*)

ვინაობის ანუ სადაურობის აღსანიშნავად ქართული ენა ჩვეულებრივ ორ სუფიქსს ჰხმარობს ხოლმე: ერთია—ელი და მეორე—ური. პირველი სუფიქსი დაერთვის იმ სახელებს, რომლებიც რომელიმე პირის (კაცისა ანუ ქალის) ვინაობას გამოჰხატავენ, მაგ.: კახ—ელი (ქალი, კაცი), ქალაქ—ელი (ბიჭი, გიგნა), სოფლ—ელი (გოგო, გლეხი), ფშავ—ელი (მეფანდრე) და სხ. მეორე სუფიქსი კი ისეთ სახელებს აქვთ დართული, რომლებიც გამოჰხატავენ ცხოვე-

ლებისა და ყოველგვარი ნივთისა თუ საგნის ვინაობის, ანუ სადაურობას, მაგალითად: კახ—ური (დგინო), ქალაქ—ური (ეოფა - ცხოვრება), სოფლ—ური (ქცევა), ფშავ—ური (სიმღერა) და სხ.

უნდა შევნიშნათ მხოლოდ ერთი ფონეტიკური მოვლენა ქართულ ენაში. ქართულს არ უყვარს საზოგადოდ, რომ ერთ სიტყვაში ორი ჩაეიყოს და თუ სიტყვაში ორი ჩაეა მოსალოდნელი მაგალითად, ერთი თუ ძირეულია დამეორე კი სუფიქსს ეკუთვნის), მაშინ ერთი

* პირველი ნაწილია იმ გამოკვლევისა, რომელიც დაიბეჭდა რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოების აღმოსავლეთის განყოფილების ეურხალში „Записки Восточнаго Общества“ т. XXIII გვ. 365—372) ამ სათაურით: „Лва чано-мингрельских суффикса въ грузинскомъ и армянскомъ языкахъ.“

მათგანი, — ან პირველი, ან მეორე, უფრო ხშირად კი მეორე, — ლასად გადაიქცევა ხოლმე ამ მიზეზის გამო — ურ სუფიქსის ნაცვლიად ჩვენ ხშირად სუფიქსი — ული გვაქვს ხოლმე, სახელდობრ მაშინ, როცა ადამიანის გარდა რაც კი რამ ცხოველი, უსულო საგანი და ნაფთი თუ რაიმე განყენებული ცნება არსებობს, იმათ ვინაობის ანუ სადაურობის აღმნიშვნელ სახელში რაე ბეგრია ძირეულს შეადგენს ანდა ფუძეს ეკუთვნის. ჩვენ ვამბობთ:

ლა	საპახს — ული მწკრიდაბს.	მაგრამ	საპახს — ული მწკრიდაბს.
	რახს — ული საჯგვლო.	"	რახს — ული საჯგვლო.
	ფრანგ — ული აფაგზინაბა.	"	ფრანგ — ული აფაგზინაბა.
	ხევსუჩ — ული კნობ.	"	ხევსუჩ — ული კნობ.
	იმერ — ული კალთ.	"	იმერ — ული კალთ.
	მეგრ — ული ზეფხ.	"	მეგრ — ული ზეფხ.
	თუჩ — ული საქონკეო.	"	თუჩ — ული საქონკეო.
	ქართ — ული წინა.	"	ქართ — ული წინა.
	რაქ — ული სიმღერა.	"	რაქ — ული სიმღერა.
	გურ — ული ხმაიდა და სხვ.	"	გურ — ული ხმაიდა და სხვ.

რა	სამხს — ური ეჩა.	ერათი სიტყვით,	სამხს — ური ეჩა.
	ოხმალ — ური ჩიხბა-ღახურა.	ფონეტიკის ბრალია.	ოხმალ — ური ჩიხბა-ღახურა.
	ანგლას — ური კსაფილი.		ანგლას — ური კსაფილი.
	თუმ — ური გველი.		თუმ — ური გველი.
	ინგილთა — ური ღაბაჩაი.		ინგილთა — ური ღაბაჩაი.
	აფხაზ — ური მახერა მოხერა.		აფხაზ — ური მახერა მოხერა.
	ლმკ — ური ნახადა.		ლმკ — ური ნახადა.
	ქობტ — ური ტყუპი.		ქობტ — ური ტყუპი.
	ჭან — ური ღაბაჩარი.		ჭან — ური ღაბაჩარი.
	ხონ — ური სრეი.		ხონ — ური სრეი.

მედ — ურ სუფიქსთან. მაშასადაე, ვინაობის ანუ სადაურობის გამოსახატავად მხოლოდ ორი სუფიქსი მოგვეტობება: — ელი. როცა ადამიანზე ვლაპარაკობთ და — ური, როცა საუბარი დანარჩენ საგნებს ეტება*).

მაგრამ ამ ორ ჩვეულებრივ სუფიქს გარდა, ვინაობის აღსანიშნავად (სახელდობრ ადამიანის ვინაობის გაქოსახატავად) გვაქვს კიდევ ერთი იშვიათი სუფიქსი — არი. რომლის საშუალებით მხოლოდ რამოდენიმე სიტყვა გვაქვს ნაწარმოები. პირველ ყოვლისა ეს სუფიქსი გვხვდება ისეთ ცნობილ ეთნიურ ტერმინებში, როგორიცაა:

1. ოდიშ — არი ოდიშის მცხოვრები, ოდიშელი და
2. ხომხით — არი ხომხითის მკვიდარი.

ამას გარდა, ეგვევ სუფიქსია შემდეგ სახელებში:

3. ოპიშ — არი ოპიშელი.

4. ცხკარელი, „Свѣдѣнія“ და სხვა, წ. II, 41, 15 („Памятвник груз. старины въ Святой Землѣ и на Сп-жаѣ“, 1834); ოპიშის სიგელში („საქართველოს სიგელენია“, ტ. II, 2—5) ეს სიტყვა შეიღგერ ბრი ნახმარი; ბეჟა და ბეშქენ ოპიშანია: ივ. ჯავახიშვილი, „ქართველ ერის ისტორია“, წ. II, 648).

4. ოლთის — არი ოლთელი, ოლთისელი (მამასხვლისაბასა გიორგი ოლთისის რისასა; ათონის იგუარის მონასტრის).

* ასეთი განხვევა — ელ და — ურ სუფიქს შორის მხოლოდ სამწროლ ენასა და ზოგ კილოშია ვატარებულა, მაგრამ ზოგიერთი კილო — ელ სუფიქსს მარტა ადამიანზე კი არა, სხვა საგნებზე და კმარობს და — ულ სუფიქსს, პირიქით, კაფის ვინაობს გ გამოხატავდაც.

1074 წლის ხელთნაწერი, აღაპებით“, 175, 13-14).

5. ვიკი—არი ვისიკლა (ნ. მავრი, „Объ армянской иллюстрированной рукописи из халкадонитской среды“: Известия Академии Наукъ, 1911 წ., გვ. 1298).

აქვე უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე.

6. მტბგ—არი ტბეთელი (ტბეთის ეპისკოპოსთა სახელწოდება, მაგალითად: იოანე მტბეკარი ეპისკოპოსი: პ. ი ნ გ ო რ ო ყ ე ა, „ძველ-ქართული სასულიერო პოეზია“, გვ. მვ, ნე, ქათ, ოვ, ეტ, რბ, რკ, რკტ, რლვ; სტეფანე მტბეკარი, ეპისკოპოსი: გ რ ი გ ო ლ ხ ა ნ ძ თ ე ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა (ნიკო მარის გამოცემა), თავი 49, 11).

ზემოაღნიშნულ სახელებში დართული —არ სუფიქსის აღსახნვლად უნდა ქანურ-მეგრულს მივჰპაროთ.

არც მეგრულში და არც ქანურში დღეს აღარ არსებობს ისეთი მტკიცე განსხვავება აღამიანისა და არა აღამიანის ვინაობა-სადაურობის აღსანიშნავად, როგორც ეს ქართულში არის დაცული. ქანურში, მაგალითად, სუფიქსი —ური ან —არი თანაზრად აღნიშნავს კაცისათუ სხვა რაის ვინაობას*).

მეგრულშიაც ჩვეულებრივ იხმარება სუფიქსი —ური (რომელიც ხშირად იმავე ფონეტიკური კანონის გამო და იმავე პირობებში, ზემოდ რომ გვქონდა საუბარი, —უშლად შეიცვლება ხოლომე), და ეს სუფიქსი კაცის ვინაობასაც გამოჰხა-

ტავს და სხვა რიგე საენის სადაურობა საც. ამიტომ მეგრული

სენაქლასე და სენაქურასე
ზუგდილასე და ზუგდილურასე
აბაშლასე და აბაშურასე

ხოტეღასე და ხოტეღურასე
ჭავჭავლასე და ჭავჭავურასე

ქართულად ჩნიშნავს

სენაქ—ური
ზუგდილ—ური
აბაშ—ური

ხოლო, (როცა რაე ძირედულია):

ქართულად ნიშნავს
ხოტე—ული
ჭავჭავ—ული

1) ი. ყიფშიძე. Грамматика мингрельского (иверского) языка, § 127, с. 1

*) ნ. პარი, Грамматика чанскаго (лазскаго) языка, § 116, გ.

ამ სუფიქსთან ერთად იმავე მეგრულში მოიპოვება აგრეთვე, მხოლოდ მარტო აღამიანის ვინაობის გამოსახატავად, მეორე სუფიქსიც. ეს სუფიქსია—არი, რომელიც ქართულ-მეგრული ფონეტიკური კანონების მიხედვით წმინდა უესტეცესისა, ნაწილად უესსაფერისა ქარ-

თული ელ სუფიქსისა; ხოლო რადგანაც ორი რაგს ერთს სიტყვაში შეუფერებლობის კანონი ერთ საფუძველთაგანია მეგრულს ფონეტიკაშიც, ამიტომ—არ სუფიქსის გვერდით იხმარება აგრეთვე სუფიქსი —ალი.

ამ სუფიქსით ნაწარმოებო სიტყვა მხოლოობითში ძალაჲ იშვიათად გვხვდებო:

1. **ჭუანდ**—არი ეპისკოპოსი*) (წინად **ჭუანდჯარი** მხოლოდ **ჭუანდიდე** ეპისკოპოს უნდა პრქმეოდა და შემდეგში საზოგადოდ ეპისკოპოსის მნიშვნელობა მიუღია; შდრ. წარმოებისა და მნიშვნელობის მხრივაც **მტბევარი** ქვემოლ).

2. **გუფუ**—არი გუფუელი.

3. **მარკ**—ალი შეგრჯელი.

ჩვეულებრივ კი ეს სუფიქსი მრავლობითში გვხვდება:

მხოლოობითი (ალარ იხმარება).

ბანძ—არი

ზუგიდ—არი.

სენაკ—არი

ონტაფ—არი

ლეჩხუმი—არი

მარტვილ—არი

ჭალადე—არი

მრავლობითი (ეს კი იხმარება)

ბანძ—არ—ეფი ბანძელები.

ზუგიდე—არ—ეფი ზუგიდელები.

სენაკ—არ—ეფი სენაკელები.

ონტაფ—არ—ეფი ონტაფელები.

ლეჩხუმი—არ—ეფი ლეჩხუმელები.

მარტვილ—არ—ეფი მარტვილელები.

ჭალადიდ არ—ეფი ჭალადელები ანდა (როცა რაე ძირეული);

ბარდ—ალი

წარჩხურ—ალი

ჯვარ—ალი

ინჩხირ—ალი

ხორგ—ალი

ბარდ ალ—ეფი ბარდელები.

წარჩხურ—ალ—ეფი წარჩხურელები.

ჯვარ—ალ—ეფი ჯვარელები.

ინჩხირ—ალ—ეფი ინჩხირელები.

ხორგ—ალ—ეფი ხორგელები და სხვა*)

როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, მხოლოობით რიცხვში უკვე აღარ იხმარება **ბანძარი**, **სენაკარი**, **ბარდლი** და სხვა მისთანა, არამედ მხოლოდ **ბანძური**, **სენაკური**, **ბარდული** და სხ. მაშასადამე, —არ სუფიქსის ხმარება —ურ სუფიქს თითქმის სრულებით განუღვენია მხოლოობითი რიცხვიდან. მაგრამ —არ სუფიქსიანი სიტყვები მხოლოობითშიაც რომ უნდა ხმარებლიყო ძველად მეგრულში, ამას მრავლობითი რიცხვის წარმოება ამტკიცებს: **ბანძარეფი**, **სენაკარეფი**, **ბარდულეფი** და სხვა მისთანა. ახალ მეგრულში კი —ურ სუფიქსს ისე მაგრად მოუკიდებია ფეხი, რომ მხოლოობითიდან მრავლობითშიც გადასულა და იქაც დამკვიდრებულა: **კიწუ**—ური

*) ი. ყიფშიძის ხსენ. თხზ., §5 20ა 127, 8, ; აგრეთვე ლექსი **ოშა—ოთხონი მარგაღ** [გვ 122] და სიტყვები ლექსიკონში: **ბანძა**, **ზუგიდი**, **სენაკი**, **ონტაფი**, **მარტვილი**, **ლეჩხუმი**, **ჭალადიდი**, **ბარდა**, **წარჩხურა**, **ჯვარი**, **ინჩხირი**; **ხორგა**.

*) ი. ყიფშიძის ხსენ. თხზ., გვ. 395. **ჭუანთან**; A. Старчевский, Кавказский толмачь [С. 16. 1891], გვ. 79a.

კიწად, მრ. კიწუ—ურ—ფფი კიწი-
ჯები¹⁾)

აი სწორედ ეს ქანურ-მეგრული
—არ სუფიქსი, რომელიც ქანურს მთლად
დაუკარგავს, და რომლის დაკარგვა უკვე
დაუწყია მეგრულსაც, ქართულ ენას შე-
მოუნახავს რამოდენისამე ნასესხებ სიტყვა-
ში: ოდიშარი²⁾, სომხთარი, ოპიზა-
რი³⁾, ოლთხიხა, ვიხიკარი და მტბე-
ვარი.

უქანასკნელი სიტყვის მ პრეფიქ-
სი და ევ სუფიქსი ცალკე განხილვას
შოიხოვს. პირველის შესახებ შეგვიძლია
ვთქვათ, რომ იგი ქართულს ან პირდა-
პირ უნდა ჰქონდეს ნასესხები ქანურ-
მეგრულიდან, ან არა და თვითონ უნდა
განვივითარებინოს შემდეგ. თუ იგი ნა-
სესხებია და მზამზარეულად არი შეთვი-
სებული ქანურ-მეგრულიდან, მაშინ ჩვენ
მეგრ. მ—არავლთან (მეგრული) ერთად
ეს მეორე შავალითი გვექნება მ პრე-
ფიქსის ხმარებისა ვინაობის აღწინაშენელ
სიტყვებში მეგრულსა და ძველად აღ-
ბათ ქანურშიაც. მაგრამ თუ ვინცობა
ეს პრეფიქსი ქანურ-მეგრულიდან კი არ
არის ნასესხებ სიტყვასთან ერთად გად-

მოყოლილი, არამედ ქართულის მიერ
არის სესხების შემდეგ განვივითარებული,
მაშინ ჩვენ მ—ტბევარში ერთი შემდეგი
შავალითი გვექნება მ პრეფიქსის ხმარე-
ბისა ქართულში ვინაობის გამოსახატა-
ვად: მ—როველი, მ აწყურელი, მ—
არჯუელი, მ—მეგვიტელი, მ—ვერე-
ლი და სხვ.

რაც შეეხება —ევ სუფიქსს. იგი
მაჩვენებელია იმისა, რომ ადგილს ერთ
დროს ტბ—ევ ი უნდა ჰქმეოდა (და
ან იქნებ ტბები, ან კიდევ ტბეფა, რად-
განაც მტბევარში შესაძლებელია ძირე-
ულ ბავის მიერ ბგერას ჰქონოდა გავ-
ლენა სუფიქსისაზე); მაშასადამე, ისტო-
რიულად ტბევი ადრინდელი უნდა იყოს
და ტბეთი კი მერმინდელი.

ეს —ევ სუფიქსი, რომელიც მნიშ-
ვნელობით —ეთ სუფიქსს უდრის, უნდა
გვერდში ამოუყენოთ იმ სვ (—მზ, ივ)
და ჯზ, ივ სუფიქსებს, რომლებიც ქან-
მეგრულთა ტომების სახელწოდებაში
გვხვდება. ბერძნულ-სომხურ საგეოგრა-
ფიო მწერლობაში: *Εγρავακή* (აქედან
სომხ. *საქიხიქი*, ვგრ—ევ კი) გვრისი,
საშეგრელო *მასიქი*, (ჭან—ივ) ჭანები,
ჟაღიქი, (ლაზ—ივ) ლაზები⁴⁾).

სრულიად ბუნებრივია და არ არის
გასაკვირი, რომ ოდიშარი, ოპიზარი,
ოლთხიხარი, ვიხიკარი და მტბევარი ქა-
ნურ-მეგრული ფორმებით იყოს, რადგან-
ნაც ოდიშის მკვიდრნი ძველად და ახ-
ლაც მეგრელები არიან, ხოლო ოპიზა,
ოლთხიხი, ვიხიკი და ტბეთი (ველად

1) ი. ყიფშიძე, ხსენ. თხზ., § 20.

2) თვით ვერულში ეს წმინდა მეგრულ-
ლი სიტყვა [6. მარი, История термина
„ახазы“: Известіи Академіи Наукъ, 1912
წ გვ. 701) თავისი —არ სუფიქსით [თუ მის-
გან ნაწარმოებ გვარს ოდიშარიახ გვერდს
აღუხვებეთ], მხოლოდ მრავლობითში იხმარება:
ოდიშარეთი; მხოლოდ იბათში კი მის ნაცვლად
ოდიშური გვხვდება [ი. ყიფშიძე, ხსენ.
თხზ., იხ. სიტყვა ოდიში].

3) გვხვდება აგრეთვე წმინდა ქართული
ფორმა: ოპიზელი [გრიგოლ ხანძთელის ცხო-
ვრება, თავი 11, 5].

4) მ. მარი, Къ вопросу о положіи
абхазскаго языка среди яфетическихъ (Ma-
териалы по яфетическому языковедіи, V),
გვ. 17.

ტბვეი) ტაო-კლარჯეთში მდებარეობს¹), სადაც ერთ დროს (როგორც ახს აკადემიკოსი მარი არკვევდა²) უნდა სახლებულიყვნენ ქან-მეგრელთა ტომები, რომლებმაც ჯერ იყო და გასოშებისა, შემდეგ გაქართველებისა და უკანასკნელად კი გაათურქების პროცესი გამოიარეს. ერთი ამ ადგილთაგანი, სახელდობრ **ოპიზა**, წმინდა ქანურ-მეგრული ფორმაა³); ასეთივე ფორმაა **ოლთისიცი**; მხოლოდ ცოტაოდნად გადმოქართულებული (—შის ნაცვლად —სი).

დასასრულ, სიტყვამ მოიტანა და უნდა აღნიშნოთ, რომ ქანურ-მეგრული —არ სუფიქსი მართო ქართულში როდი გვხვდება; იგი შემოუნახავს აგრეთვე ბერძნულ და სომხურ საგეოგრა-

ფიო მწერლობას ერთ საეპო და საგეოგრაფიო ტერმინში. ეს გახლავს ბერძ. Γαλαρρα სოზ *გალარა*, გუგარანა ანუ გაგუარანი. ტერმინის ასეთი ხსენებანი¹) დროს შეგვიძლია დავიმოწმოთ აგრეთვე ისტორიული ცნობებ²) გუგარა გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ ქანურ-მეგრული ენის გაცრცელებასა და გავლენის სფეროში.

აკაკო შანიძე.

¹) ვიხიკ მდებარეობს ხახლის დასავლეთით, ბუთი ვერის მანძილზე, პატარა ხევზე, რომელიც ოდოქ-ჩაის ერთევის; ბოლო ოდოქ-ჩაისა და თორთუ-ჩაის შესართავთან არის ვახიკის-კარი, ოსმალურად ვიხიკის-ყაფუხი. ვიხიკის მდებარეობა აღნიშნული ყოფილა რუსულ ათ-ვერსიან რუქაზედაც, მხოლოდ შეცდომით Нехикის სახით. [ეს ცნობებზე ვიხიკის შესახებ მომართა ბ. ი. ზღაბაძე, რომელსაც ამისათვის დიდ მადლობას ვსწირავ].

²) გრ. ხანძთელის ცხოვრება [ნ. მარის გამოცემა], გვ. III.

³) ეტიმოლოგია ხს. გრ. ხანძთელის ცხოვრებაში, გვ. XXII

¹) ხენაირად ჰსენის ამ სიტყვას პროფ. მ. მარი, *грамматика чанскаго (лазскаго) языка*, გვ. XXI, სადაც —არ სუფიქსი წარმოდგენილია, როგორც მრავლობითის აღმნიშვნელი ნაწილაკი სვანური ენისა

სიტყვამ მოიტანა და არც ჰაქინჯარეფში სვანური მრავლობითის ნაწილაკი, როგორც ამას ჰეიქრობს ნ. მარი [იხილე მისი რეცენზია ი ყიფ შიძის მეგრული გრამატიკის შესახებ: *Записки Восточнаго Отдѣленія*, ტ. XXIII, გვ. 212], არამედ —არ სუფიქსი აქაც იმავე ხასიათისაა, როგორც ზემოთ მოყვანილ სიტყვებში.

²) *А. Паткановъ, Армянская географія 7 вѣка*, გვ. 20; *Н. Адонцъ, Армения въ эпоху Юстиніана*, გვ. 26 222; ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია, [ტფილისი 1913 წ.] გვ. 59.



სამეცადინო გეგმა

პირველდაწყებით სკოლებში.

შუკრიკის სკოლების პროგრამის მიხედვით 1)

სკოლაში მიბარების პირველ დღიდან იშორება ექსკურსიები იმ მიზნით, რომ მასწავლებელმა კარგად გაიცნოს ახლად მობარებული ბავშვები, მათი ტემპერამენტი, ხასიათი - და განვითარება. მასწავლებელი გამოიკვლევს ბავშვების ნიქს, რა მიდრეკილებას იჩენს ესა თუ ას ბავშვი ხატვაში, ხელგარჯილობაში და ბუნებისადმი დაკვირვებაში, აღნიშნავს ნიჭიერსა და ნაკლები ნიჭის ბავშვებს.

შემდეგ შეუდგებიან ხატვის, ხელგარჯილობისა და აზნანის შესწავლას. სასწავლო საგანია: 1. დედა ენა: ა) სალაპარაკო, სასაუბრო ვარჯიშობა, ბ) კითხვა, გ) წერა. 2. არითმეტიკა. 3. ხატვა. 4. ბუნების მეტყველება. 5. ხელგარჯილობა.

დ ე დ ა ე ნ ა .

დედაენის სწავლების დროს მიზნად აქვსთ დასახული ენის თავისუფლად ხმარება, შესწავრი აზრების ცხადად და მკაფიოდ გამოთქმა, ენა უპირველესი საშუალებაა კაცთა შორის ურთიერთობისა, ამტომაც ენის შესწავლას თავიდანვე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. საუბარი ბავშვებთან, მათი სიტყვა-პასუხის, ლაპარაკის მოსმენა, როცა მოგვიტხრობენ რასმე ნახულისა, გაგონილისა, ან

წაკითხულის შესახებ, ერთი მთავარი საკლასო სამუშაოა.

წერა-კითხვის შესწავლა განსაკუთრებით სახმო მეთოდის საშუალებით არ სწარმოებს, ამ სამუშაოში სხვა გრძობებიც იღებენ მონაწილეობას, განსაკუთრებით — მხედველობა.

საკლასო კითხვის მიზანია ბავშვის წახალისება წიგნების კითხვაში და შეჩვევა, რომ ბავშვებმა თავისთავად, და მოუქიდებლად გაარჩიონ, გაარკვიონ წაკითხული.

წერის დროს მართლწერისა და ლამაზ ხელს იმდენი ყურადღება არ აქვს მიქცეული, რაქდენიც შეძლების დავგარად აზრის სწრაფად და გონიერულად ცხად ფორმებში გამოხატვას. ამ უკანასკნელი მიზნისადმი მისილწევ საშუალებად მიღებულია ბავშვების თხზულებები, ნახულისა, გაგონილისა და წაკითხული ამბების წერით გადმოცემა.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბავშვების ნახატებსაც, როგორც კითხვისა და წერის დასასურათებელ საშუალებას.

ამ სხვით დედა ენის პროგრამა დაყოფილია სამ ნაწილად:

ა) სასაუბრო სამუშაო, ბ) კითხვა და გ) წერა.

სასაუბრო სამუშაო: საუბრების დროს

1) ეს გეგმა გადმოღებულია ზელენკოს, ფორტუნატოვ - კაზიმიროვისა და შლეგერის გეგმიდან და სხვა წყაროებიდან, და შესწავლის დავგარად შევუბული ქართულ ცხოვრებასთან. ამ გეგმის გათვალისწინებით ყოველი მასწავლებელი ადვილად ჩატკვირდება ახალს მეთოდებს და ადგილობრივი პირობების მიხედვით გაახორციელებს თავის სკოლაში. ამ მიზნით იმეძებდა ეს გეგმა ქურნალ. „განათლება“-ში.

რედ.

ასეთი მუშაობის მეთოდნი და ცუდი; საუბრობენ ნახულისა და გაგონილის შესახებ (მასალა შერჩეულია წელწადის დროსა მიხედვით); ბავშვებს მოაქვთ კლასში მრავალი საგანი, საუბრობენ მათ შესახებ და ჰხატავენ თავიანთ რვეულში. რომლისამე სასაუბრო ტემის ასაწერად ირჩევენ მოწაფეთა ჯგუფს, სასურველია სასაუბრო ტემის თანდათან საზოგადო განხილვა ჯგუფებში და შემდეგ ამა თუ იმ ჯგუფიდან ერთი მოწაფის გამოყენება, რომელიც ამბავს მთელ კლასს მოუთხრობს. შემდეგ სასურველია, რომ თვეთეულ ჯგუფიდან გამოვიდეს რამდენიმე მოლაპარაკე ერთსა და იმავე ტემაზე, რომ კლასს შექცება ექმნეს შედაროს, დაფასოს ლაპარაკის სისრულე, სინამდვილე, სისწორე და საზოგადოთ აღნიშნოს ხელოვნება ლაპარაკისა. ამ მეთოდით კლასში ყველას აღედგინოს სურვილი, რომ კარგი მოლაპარაკე, სწორი მოსაუბრე იყოს.

I. ტემები: აწერილობა, რომელშიაც გადიშლება: ა) შთაბეჭდილებათა აღვილად მიღება და შეფიქრება (ნახულის მოთხრობა), ბ) ფანტაზიის სიმდიდრე (სურათების აღწერა, მოთხრობები სურათების მიხედვით); გ) შეუფერებლად დაგროვებული ცნობები (ცნობილის მოთხრობა).

ასეთის სამუშაოსათვის მასალას გასერიანება იძლევა. გასერიანების დროს მოწაფეები უკვირდებიან და სწავლობენ ბუნებას, ბუნებრივსა და ხელოვნურს საგნებს, სოფელსა და ქალაქს და სხ.

1. ბუნება და მისი ანალოგია: ა) ტყე; ბ) წყალი; გ) მინდორი.

2. ქალაქი: ა) მუშაობა; ბ) ვაჭრობა; გ) სხვაჭრო საქონლის გადატან-გად-

მოტანა; დ) მდიდრული და ღარიბი ცხოვრება; ე) ძველი და ახალი;

II. გაგონილის მოთხრობა. მასწავლებელი წაუკითხავს კლასს ხმაშემალი გარკვევით, მოწაფეები მოჰყვებიან წაკითხულის შინაარსს, ამისთვის კი საქირაო შესაფერი წიგნების არჩევა. სასურველია. რომ წასაკითხი მასალა ეგუბოდეს წელიწადის დროთა და გასერიანების მიზანს, რომ საკლასო კითხვამ შეივსოს და განავითაროს ის, რაც საკლასის დაკვირვებით შეუძენიათ ბავშვებს გასერიანების დროს. საკითხავი მასალა ისე უნდა იქმნეს შერჩეული, რომ გარეკენელი ქვეყნის შესწავლა სახალისო და წარმატებულ ფორმებში იქნეს გამოხატული—მოთხრობებისა თუ ზღაპრების სახით.

მოთხრობები შეიძლება მოკლეც და ვრცელიც. უპირატესობა კი მიანიჭო მოგრო მოთხრობებს უნდა მიეცეს, რომელთა წაკითხვა შეიძლება რამდენსამე გაცვეთილზე გავრძელდეს. ასეთს შემთხვევაში ბავშვები მოთხრობის მომჭედ პირებს უფრო ფრევიან და მოქმედობათა მსვლელობის განვითარებასაც მეტის ხალისით უკვირდებიან. ასეთს პირობებში ადვილი ხდება ბავშვის მეხსიერების გარჩევა, როცა ათქმევინებთ, რა იყო წაკითხული და სად შეჩერდნენ კითხვის დროს.

III. სიტყვიერი თხზულებები: ზღაპრებისა და თავდასაგალთა შეთხვა და სურათებით, ლექსების დიზეინება და დეკლამაცია.

თავდაპირველად მასწავლებელი თერთონ უკითხავს ბავშვებს სხვადასხვა ლექსებს და ცდილობს განსკვლავს ბავშვები ლექსების კეთილ ხმოვანებით, მუსი-

კალობით და აღუძრას გამომეტყველო-
ბითი კითხვის ხ. დისი. შემდეგ თუ რო-
მელიმ მოწაფე მოიწინაინებს ამა თუ იმ
ლექსის დაზეპირებას და გრძნობიერად
წაიკითხავს, მასწავლებელმა ხელი უნდა
შეუწყოს ამ სურვილის განხორციელე-
ბაში, მხოლოდ ლექსის დაზეპირებას
მაწაფემ მაშინ უნდა მიჰყოს ხელი, რო-
ცა მისი გამომეტყველობით წაიკითხვა
შეუძლიან. ამასთან ერთი რომლისამე
ლექსის დაზეპირება მთელი კლასისთვის
სავალდებულო არ უნდა გახდეს. თვითუ-
ლი მოწაფე არჩევს და დაისწავლის იმ
ლექსს, რომელიც მას მოსწონს.

ლექსების კითხვის დროს რამდენსა-
მე მოქმედ პირად დაყოფა პირველ ხა-
ნებში შეიძლება, მაგრამ გატაცება ამით
სასურველი არ არის და მთელ ლექსს
ერთი მოწაფე უნდა კითხულობდეს, მაგ-
რამ ისე, რომ მოქმედი პირი მკაფიოდ
გამოჰყოს. ასეთი ვარჯიშობა უნდა სწარ-
მოებდეს მთელი წლის განმავლობაში.

კითხვას იწყებენ ცნობილ სიტყვე-
ბისა და საზოგადოდ ისეთს მასალებზე,
რომლებიც ბავშვის გარშემო მოწყობი-
ლებას, გარეგან საგნებსა და ფერებს შე-
იცავენ. საკითხავად არჩევენ ისეთს სა-
ხელებს, რომლის საგნით გამოხატვა
აღვილია, მაგ. თათა, ზე, საათი (გდელა
ენა“ გვ. 5—6) მარტო სიტყვების კით-
ხვაც კობა, საჭიროა იმ სიტყვების
სხვადასხვა წინადადებათა კომბინაციების
შედგენაც. კითხვის დროს ბავშვები უნ-
და მიჩვიონ დაბეჭდილი მთელი სიტყვის
ერთბამად დანახვას, უნდა მიეცეს, სა-
დაც შესაძლებელი იქნება წინადადების
ამხნეული სურათები და შესდგეს ისეთი
ფრაზები, რომელშიაც სიტყვებს სურა-
თებიც დაემატება (მაგალ. თბობა ქსელს

ამას, „დედაენა“ (გვ. 24), „აბუხული
წიწილა სდგას“ (გვ. 30), საათი კე-
დელზე ჰკილი.“ [გვ. 36] და სხ.

ყველა ეს ბავშვებმა თავიანთ რვე-
ულში უნდა დაასურათონ. თავიდანვე
ყურადღება უნდა მიექცეს სხვადასხვა
ხმებისა და სიტყვების სწორად და მკა-
ფიოდ გამოთქმას.

ჯოველ გაკვეთილზე საჭიროა ასოე-
ბის ანალიზი, არ უნდა გადავიდნენ ახა-
ლი ხმებიდან სიტყვების შედგენაზე, ვიდ-
რე წინადაც ნასწავლი ხმები და ასოები
კარგად შესწავლილი არ ექნებათ.

დრო გამოშვებით უნდა განიხილონ
გავლილი ასოები, სიტყვები და მათი
კომბინაციები.

კითხვა ანბანის შემდეგ. როცა ბავ-
შვები ანბანს გაათავებენ და კითხვაში
გაეარჯიშდებიან, ბავშვებს ურჩევენ ან-
ბანის შემდეგ საკითხავ წიგნში მოთავსე-
ბული მასალა წინასწარ სახლში წაიკით-
ხონ, გაუგებარი სიტყვები თუ რამ არის
აღნიშონ, რომელთა შესახებ კლასში
საუბარი გაიმართება. როცა პირველ სა-
კითხავ წიგნს მორჩებიან, ბავშვებს სა-
კითხავად ქრესტომატიებს არ აძლევენ,
არამედ აურჩევენ სხვადასხვა პატარა-პა-
ტარა საკითხავ წიგნაკებს. კითხვის დროს
მოწაფეები რამდენსამე ჯგუფებად არი-
ან დაყოფილი. თვითუთელი ჯგუფი ერ-
თად ამზადებს მასალას, რაც კლასს უნ-
და წაუკითხონ, ერთად კითხულობენ
მოთხრობებს, ერთად არჩევენ და ცდი-
ლობენ სწორედ, გამომეტყველებით წა-
უკითხონ მთელ კლასს, ან მკაფიოდ და
გარკვეულად უფამონ მისი შინაარსი.
თვითუთელი ჯგუფი წამოაყენებს კარგს
შკითხველს ან მოამბეს. კლასი ადარებს
ერთმანეთს შკითხველებს, კრიტიკის სა-

შუალეობით აფასებს ვინ როგორ წაიკითხა, როგორი სისწორე და გამომეტყველება ჰქონდა კითხვის დროს, შინაარსის მოთხრობის დროს აფასებენ სიტყვადეს, სისრულეს გადმოცემულის სინამდვილეს. ვარჯიშობენ ჩუმაღ წაკითხვაშიაღ და წაკითხულის მხატვრულ სახეებით, მოთხრობათა შინაარსის დასურათებით გადმოცემაშიაღ. ჩუმაღ კითხვის დროს გულდასმით უყვირდებიან და წაკითხულის თავისთავად შეთვისებას ეჩვევიან.

წერა. წერის სწავლების დროსაც თავიდანვე უნდა ცდილობდნენ, რომ მოწაფეებს ვარჯიშობის დროს ხელისიონობა ეტყობოდესთ. წინასწარი ვარჯიშობის დროს მოწაფეები ასოების სხვა დასხვა ელემენტებისაგან ადგენენ ფიგურებს, ჩარჩოებს და ყვავილებს. ხელის განვითარებას, თითების მოძრაობაში საჭირო ვარჯიშობას ბავშვები ხატვის დროს იძენენ. ასოების ნაწილებს, ელემენტებს ცალკე არ სწერენ, არამედ გზადაგზა სწავლობენ იმ ასოებთან, რომელშიაღ ჩართულია ესა თუ ის ელემენტი. სწერენ ზირდაპირ ასოებს, სიტყვებს და წინადადებებს შესაფერ სურათების ჩართვით.

მუშაობა ასე სწარმოებს:

1. სწერენ მხოლოდ იმას, რასაც კითხულობენ.

2. კლასი ნაცნობ სიტყვებისაგან ადგენს წინადადებას და ბავშვები სწერენ.

3. მასწავლებელი საკლასო დაფაზე სწერს სიტყვებს, ბავშვები თავიანთ რვეულებში სწერენ.

4. დაფაზე წერის დროს მასწავლებელი ზოგიერთ სიტყვებს განძრავს სტოვებს. ის სიტყვები ბავშვებმა შესიერე-

ბის საშუალეობით თვითონ უნდა დაუმატონ.

5. ცნობილ სიტყვებიდან კლასი ადგენს გადაბმულს ამბავს, ბავშვები სწერენ და ასურათებენ.

6. ცალკე ჯგუფები თხზავენ წინადადებებს და მოთხრობებს. იმართება ჯგუფური მსჯელობა მოთხრობის ტემის შესახებ, შერჩევა შესაფერი სიტყვებისა აზრის გამოსათქმელად. წიგნში წაკითხვის შემდეგ საეჭვოსა და ძნელად გამოსათქმელ სიტყვებს რვეულებში სწერენ. რვეულებს ცვლიან ჯგუფებში შეცდომების შესამოწმებლად. ჯგუფების თხზულებებს კლასს წაუკითხავენ.

7. წაკითხული წინადადების გადმოცემა: ა) შემოკლება; ბ) გაფართოება წინადადებისა.

8) მოთხრობის შინაარსის გადმოცემა: ა) კლასის მიერ მოთხრობის გეგმის შემუშავება: აღინიშნება: მოქმედი პირნი, მათი დახსიათება, დრო და გარემოება მოქმედებისა, ბუნება და სხვ. ბ) ჯგუფური შემუშავება გეგმისა და მისა კრიტიკა კლასის მიერ. გ) მოთხრობის სრულად გადმოცემა; დ) მოკლედ გადმოცემა მთავარ მომენტებისა.

9) წერილების შეთხზვა. შეიძლება შემოღებული იქნეს საერთო საკლასო რვეული, რომელშიაღ არჩევიან ჩასწერენ ჯგუფებისა და ცალკე პირების მიერ შეთხზულს სახელისო მოთხრობებს, სურათებს და საყვარელ ლექსებსა და სხ.

საზოგადო წერის დროსაც უმთავრეს მიზანდასახული უნდა იქნეს მწაფის მიერ დამოუკიდებლად საკუთარი აზრის გამოთქმა, საკუთარი ინდივიდუალისა, შემოქმედებისა და თვითმოქმედების განვითარება. რაკი ბავშვები წერაკითხვას

შეისწავლიან და მარტივ წინადადების წერას შესძლებენ, იმ დროიდანვე საწერ სავარჯიშოებს დამოუკიდებელი ხასიათი უნდა მიეცეს. პირველი წლის მეორე ნახევრიდან ბავშვების ნაწერები უნდა შეიცავდეს, რამდენსამე სტრიქონს პატარა-პატარა თავისუფალი წერის სავარჯიშოებისას. როგორც გრებილი ხაზები წერტილით იწყება და თანდათან აფართოებს წრეს, აგრეთვე ბავშვების ნაწერებიც მარტივიდან დაწყებული თანდათან უნდა რთულდებოდეს. რასაკვირელია ბავშვებისათვის საწერ ტემას უფრო მათი ცხოვრება და გარშემო არსებული მოწყობილება უნდა წარმოადგენდეს. ეს თხზულებები ბავშვის მიერ ნახულსა და გაგონილსაც უნდა ჰხატავდეს. ამ ნაწების უმთავრესი მიზანია ბავშვების ვარჯიშობა საკუთარი აზრის გამოთქმაში და გარშემო არსებულ საგნებისა და მოვლენათა შესახებ სწორი ცნობების გადმოცემაში, როცა პატარი ბავშვი, პატარა ავტორია, შემოქმედი თავისი აზრისა, თავისი თხზულებისა, ასეთი თხზულება ბავშვისთვის სახალისო იქნება, რადგანაც ასეთ თხზულებაა შინაარს. ახლო დამოკიდებულება ექნება ბავშვის საკუთარს ცხოვრებასთან. ასეთ სამუშაოს დროს ბავშვები ხელახლად განიცდიან თავიანთ ნაგრძნობს და ამიტომაც მონაწილეობას მიიღებენ სამუშაოში არა შექანიკურად, როგორც გადაწერის ან კარნახის დროს ხდება ხოლმე, არამედ მათეის საკუთარის სულის მოძრაობით, გრძნობებით მიტევიან საქმეს და ასეთ შემთხვევაში თავს იჩენს ბავშვის ინიციატივაც, მისი საკუთარი აზრიც და თვითმოქმედებაც.

გრამატიკა. საგრამატიკო წესებს კლასი შეიმუშავებს წაკითხულისა და დაწე-

რილი მასალების გარჩევით.

შემუშავებულს წესებს ბავშვები თავიანთ რვეულბში სწერენ, რომ ყველასთან ჰქონდეს თავისი მარჯონწერის კანონები, რომელსაც საკიროების კვალობაზე მიჰმართავს ხოლმე.

ბავშვები ვაიცნობენ აზრთა გაყოფის კეცების და მათი კავშირის პირობებს, წერაში სახმარ სასვენ ნიშნებს და სხვ.

ბუნების შეტყველება.

ბავშვის შიერ ბუნების შესწავლას მიზნათ აქვს გარესკენელი ქვეყნის ვაცნობა, მისი დაკვირვებით შესწავლა. სამუშაო ორნაირია:

1. ექსკურსია, რომლის დროსაც ბავშვები უკვირდებიან, ათვლიერებენ გარშემო არსებულს და იძენენ შთაბეჭდილებებს.

2. საკლასო მუშაობა, რომლის დროსაც ხდება მიღებულ შთაბეჭდობათა მოწესრიგება: სიტყვიერი მოთხრობა, ჩაწერა, ხატვა, ნიმუშების კეთება და სხვა სამუშაო.

დაკვირვებისა და გამოკვლევის საგანს შეადგენს:

I. ბუნება: ა) ტყე, ბ) წყალი, გ) მინდორი. ექსკურსიის დროს უკვირდებიან: 1. ბუნების ცხოვრებას, ცხოველებსა და მცენარეებს, 2. ფიზიკურს პირობებს: სინათლეს, სიბოხს, 3. ადამიანის ცხოვრებასთან კავშირის მიხედვით.

II. საფუალი: 1. ბუნების ცხოვრება, ცხოველები და მცენარეები, 2. ფიზიკური პირობები, 3. ადამიანი, ადამიანის შრომა, კულტურის ღირებულება:

ა) რა კეთდება, ბ) როგორ კეთდება, გ) სად იგზავნება საქონელი, დ) როგორ აგზავნიან.

III. ქალაქი: 1. ბუნება ქალაქში, 2. ფიზიკური პირობები, 3. ხალხი და მათი ცხოვრება.

ბუნების გასაცნობად უნდა მოხდეს რამდენიმე გასეირნება ქალაქს გარედ. შემოდგომავზე, ზამთარში და გაზაფხულზე; ამ გასეირნების დროს გაეცნობიან სოფელელების ცხოვრებასაც.

მაგ. ტფილისის ცხოვრების გასაცნობად უნდა დაათვალიერონ ბოტანიკური ბაღი, უცხო ქვეყნისა და ადგილობრივი საქონლის მაღაზიები, სტამბები, ქარხნები, მუზეუმები, მდიდარა და ღარიბი ოჯახები და სხვადასხვა დაწესებულებანი.

ბუნების მეტყველების გაკვეთილებს მჭიდრო კავშირი აქვს ყველა სასწავლო საგნებთან, მაგალ. ართმეტიკის გაკვეთილზე ანგარიშობენ რამდენი ფული დაუხარჯავთ ექსკურსიის დროს, ექსკურსიის დროსვე ანგარიშობენ ნაბიჯით და არშინით გლახის ეზოს სიგრძე სივანეს, მინდვრისა და ბაღების რაოდენობას და სხვ. კლასში კი აღგენენ გეგმას მასშტაბით; ხელგარჯილობის გაკვეთილებზე აკეთებენ ნახულის ნიმუშებს: გლახის ქოხს, სამეურნეო იარაღებს, თიხისას ძერწენ ცხოველებსა და ფრინველებს.

ღედა ენისა და ხატვის გაკვეთილებთანაც ღიდი კავშირი აქვს ბუნების მეტყველების შესწავლას, რადგანაც მართავენ საუბარს ნახულის შესახებ, მოიგონებენ სხვადასხვა ამბებს, აღგენენ სიტყვიერსა და წერით აწერილობას; ყველა ამას შეძლების დავგარად ჰხატავენ, ასურათებენ.

I. ზუნება. ა) ტყე (საექსკურსო მუშაობა) გამოცნობა ადგილზე ქვეყნის მხარეებისა: აღმოსავლეთი, დასავლეთი,

სამხრეთი და ჩრდილოეთი. ხეების სხვადასხვა ჯიში, მათი გამოცნობა ქერქზე, ფოთლებზე და თესლზე. ხის ფოთლები, მათი ფორმა და ფერი. ფოთლების დაცვივა. ნიადაგის გავლენა ხეების ჯიშზე. ხეების მოშენება, გამრავლება. ბებერი და ნორჩი ხე. გაჭრილი ხე. ლპობა. ტყის მშვენიერება. სინათლის, სითბოს და სინესტის გავლენა. ბრძოლა სინათლისათვის. ქარი. წელიწადის დრონი. ტყის მოკეთებები და მტრები. რა ცხოვერობს ტყეში: რა ცხოველები და ფრინველები და როგორ ცხოვრობენ. ბინადარი და წამსვლელი ფრინველები. რად მიდიან და სად მიდიან ფრინველები? ცხოვრობს თუ არა ადამიანი ტყეში? წარმოიდგინეთ თავისი თავი ტყეში მცხოვრებლად. კავშირი ადამიანთან: რას აძლევს ტყე ადამიანს, რას და როგორ იღებს ადამიანი ტყიდან, რას და როგორ აკეთებს, სად გზავნის? გასეირნობის დროს თან მიიქვთ: დანები, კარანდაშები, კოლოფები, რეგულები, რომ იქვე ჩახატონ და ჩასწვრონ, რაც საინტერესო იქნება. მოსჭრიან ტოტებს, აგროვებენ თესლეულობას და ფოთლებს კლასში სამუშაოდ.

კლასში მუშაობა. კოლექციების შედგენა, გარჩევა ექსკურსიის დროს შეგროვილ მასალებისა; თესლის აღმოცენება, ოთახის მკენარეების მოვლა და დაკვირვება: სკოლაში მოაშენებენ ზოგიერთ ცხოველებსა და ფრინველებს, უვლიან მათ და უკვირდებიან მათს ცხოვრებას. ჩაწერა და ჩახატვა შთაბეჭდილებათა, რომელნიც ექსკურსიის დროს მიუღიათ; ამოკრა, დაწებება და სხვადასხვა ნიმუშების კეთება.

ბ) წუაფი. (საექსკურსიო სამუშაო)

წყლის ცხოვრება, აორთქვლა, გაყინვა, წვიმა, რაყილი, თოვლი, ხეტყვა. საიდან ჩნდება მიწაში წყალი? წყარო, ჩანჩქერი, ნაპირები, კალაპოტი, ნაპირებზე გადასვლა, წყალი ჭევეს ჩაჩხაფის; მდინარე, გუბე, ტბა ექსკურსიის დროს ბავშვები აკეთებენ ტბას ჩანჩქერს, გუბეს. სიცოხლე წყალში. წყლის ცხოველები, მცენარეები, მწერები. წყლის საჭიროება მცენარეთა, ცხოველთა და ადამიანისათვის. როგორ სარგებლობს წყალს ადამიანი? სვამს, ბანაობს, რეცხავს, მოგზაურობს, ამუშავებს ტყეს, ნავს, გემს, წისქვილს, წყლის მიმოქცევა. სილამაზეკლასში მუშაობა. აორთქვლა წყლისა ღორთქლზე დაკვირვება-ვაკება წყლისა. წყალი მცენარეებში, მისი აორთქვლა მცენარეებში, შავალ. საზამთროდან, ვაშლიდან, კაკლიდან. აქვარიუმის მოწყობა, თევზების ცხოვრების დაკვირვება. ჩახატვა, ჩაწერა და ნიმუშების კეთება.

გ) მიხდორი (საექსკურსიო სამუშაო). დაუკვირდით სიცოცხლეს მინდორში წვეფიწადის ყოველ დროს. ჭირნახლი; ახალი თესლი, ძველი თესლი, პური, ქერი, შვრია, სინინდი, ღომი, ლობიო, ცერცვი ამ მცენიერთა გამოცნობა, რისთვის სთესენ, რა სარგებლობა მოაქვს და როგორ მოჰყავთ. ბამბა, კინაფო, მათი მუშეუშავება და წარმოება. მზია, წყლის, თოვლის, ყინვის გავლენა მცენარეზე. გვადვა, მოუსავლობა. მნდვრის ბალახები. მინდვრის მტერ-მოყვარე—ფრინველები, ცხოველები, მავნე მწერები. ადამიანის შრომა: მინდორში მუშაობა სხვადასხვა დროს. სამეურნეო იარაღები. ხარი, კამეჩი, ცხენი—გუბების ცხოვრების დამოკიდებულება მინდვრის ცხოვრებაზე. წარმოებათა გაცვლა. კულ-

ტურის მნიშვნელობა.

საკლასო სამუშაო. ჭირნახლის აღმოცენება, საცდელი მინდვრებ სხვადასხვა ზედავით, მიწის გამოხიერება და დავრეება როგორ იზრდება მცენარე. სამეურნეო იარაღები ნიმუშების დაზადება. ბაშის, კნათის და ჭირნახლის კოლექციები, დასტრათება, ჩაწერა.

II. საფეფი. სოფლის მეურნეობა, სახლი, გზო, ბალი და ბოსტანი. სხვადასხვა ხ ხილი, ხეხილებისა და ბალის მოვლა, შინაური ცხოველები: მათი სარგებლობა, მოვლა. ადამიანის ცხოვრება სოფლად. რას აკეთებენ და როგორ, სად გზავნიან ნაწარმოებს და რა გზით, ვაჭრობა სოფლად, სოფლის დამოკიდებულება ქალაქთან.

მდიდრული და ღარიბი ცხოვრება და იმისი მიზეზები, სოფლად ცხოვრება სხვადასხვა დროს. შედარება სოფლისა და ქალაქის ცხოვრებისა სოფლის ცხოვრებას უკვირდებიან ექსკურსიების დროს, კლასში კი კითხულობენ სხვადასხვა ამბებს, ასწერენ სფელს, ხატვენ და სინჯავენ სოფლის ყოფა ცხოვრების სურათებს და იგონებენ ჯგუფობრივ და ცალცალკე სხვადასხვა ამბებს და ზღაპრებს სოფლის ცხოვრებიდან. აკეთებენ წისქვილებს, ქონებს, ფარებს, ბაკებს, წისმინდეს, ბედელს და სხვას, რასაც სოფლად ნახვენ.

III. ქაღჭი. ქალაქის ცხოველები და მცენარეები. ადამიანთა ცხოვრება: მდიდრული ცხოვრება (სხვადასხვა წიგნებში წაკითხვით და მდიდარი სახლის ნახვით), მუშათა ცხოვრება საკლუარის დაკვირვებით და წაკითხულის მხედვით. ქალაქის სოფლოთან დამოკიდებულება—ნაწარმოების გაცვლა. ვაჭრობა. ითვა-

ლიერებენ უცხო ქვეყნების მალაზიებს და უცხო ქვეყნის საქონელს, გაიგებენ საიდან არის საქონელი მოტანილი და რა გზით, ფურნეში ათვალერებენ სხვა და სხვა ხარისხის პურს და გაიცნობენ მასალას, რომლისგანაც შემზადებულია; ათვალერებენ რძისა, ყველისა და კარაქის დუქნებს, გაიგებენ საიდან ეზიდებიან რძეს, როგორ ინახვენ, როგორ და რას აკეთებენ რძისაგან. კლასში აკეთებენ დუქნისა და საქონლის მუშებს თიხის, კარლონის, ქაღალდის, ხისაგან და ჰმართავენ ვაჭრობას, ჰყიდიან და ჰყიდულობენ მათ მიერ გაკეთებულ საქონლებს. იკვლევენ ქალაქიდან სოფელად მოგზაურობას და სოფლის ქალაქთან დამოკიდებულებას. ათვალერებენ თავიანთ ქუჩებს, ზომავენ, ადგენენ გეგმას მასშტაბით, განისაზღვრება ადგილი, სადა: 1) მათი სახლია, ან სკოლა, ადგენენ სკოლის, სახლისა და კლასის გეგმას. რა ძველი და ახალი ქალაქში—ყოველთვის ასეთი იყო ქალაქში ცხოვრება? ექსკურსია და დათვალერება ქალაქის სიძველეთა.

ართმეტიკა

ა) სწავლის მეთოდი.

თავდაპირველად ითვლიან სხვადასხვა საგნებს და სწავლობენ საგნებზე თვლას. შემდეგ ერთგვარ საკნებს შეაჯგუფებენ და ასწავლიან ერთგვარ საგნების ჯგუფში ერთბაშად საგნების რაოდენობის გამოცნობას, რამდენსამე პატარა ჯგუფს შეერთებენ, შემდეგ ისევ დაპყოფენ ჯგუფებად, ჰყოფენ საგნებზე მაგ, რამდენი ერთიანია, ან ორიანი საგნების ჯგუფში; სწავლობენ საგნების შუაზე,

ოთხად, სამად გაყოფას. შემდეგ შეკრებენ $\frac{1}{2}$, $\frac{1}{3}$, $\frac{1}{4}$. სწავლობენ ზომის საწყაოს, ზომავენ და წყავენ, ჰკეცენ და სჭრიან ქაღალდს. შედეგებს ჩაწერენ რეფულუმში წერტილებით. ბოლოც ფურებით ჩაწერაზე გადადიან,

განყენებულ რიცხვებზე გადასვლა დროს ასეთი თანდათანობა არის დაკლვი: ა) საგნების თვლა; ბ) კარლონდომინოს აკეთებენ, თამაშობენ და აგარიშობენ თვითთვლი კარლონთვლას; გ) დაბეჭდილია ციფრიანი კარლონები, თამაშობის დროს ეჩვენებენ თვითთვლი კარლონი იმდენად ჩაოვალთ რამდენსაც პიროვნებითი ნიშანი ციფრუჩვენებს და დ) გადასვლა განყენებულთვლაზე.

ოთხი მოქმედება რიცხვებზე ათადის, ოცადის, ასადის. სმენის განსავთარებლად ბავშვებს თვლებს დაახუჭებენ და დათვლევინებენ რამდენჯერ დაჰკრა მაგილაზე მასწავლებელმა სახაზავი, რამდენჯერ დაჩეკა ზარი და სხვა. შეხების განსავითარებელი ვარჯიშობა თვალდახუჭული ბავშვები უნდა შეეხო საგნებს და დათვალონ; მესხერების სვ ვარჯიშოთ: უჩვენებენ რამდენსამე საგანს დაახუჭვინებენ თვალს და ათქვევინებენ საგნების რიცხვს.

აკეთებენ მასწავლებლის მიერ მიცემულს ამოცანებს, მაგრამ უპირატესობა თვიონ მოწუფება მიერ შედგენილ ამოცანებს ეძლევა. ამოცანებს ადგენენ ჯგუფები და მთელი კლასი.

ამოცანებს რეფულში სწერენ, ციფრებს სურათებიც ჩაერთვის. ყურადღება ექცევა, რომ ჩაწერილ-ჩაბატული რეფულში რიგზე, წესიერად და ლამაზად იყვეს; პასუხი ამოცანისა მკაფიოდ უნდა

სწიანდეს—შეიძლება ხაზიც გაუსვან.

იმ დროს, როცა ზოგი მოწაფე ამოცანას თავიანთ რეგულუმში აკეთებს, ზოგიერთები იმასვე საკლასო დაფაზე აკეთებენ, ბოლოს ამოცანას ერთად შემოწმებენ.

ბ) მუშაობის მსვლელობა.

მარველი საფეხურა.

ანგარიშის წარმოება 6-მდის. მასწავლებელი ხატავს დაფაზე კონუსს და ეუბნება მოწაფეს რამდენი ჩხირია საკირო ამ ფიგურის შესადგენად. სთვლიან ჩხირებს და თვითიული მოწაფე თავის მაგიდაზე აკეთებს ჩხირებიდან ამ ფიგურას. სახელს დარქმევენ. დახატავენ რეგულუმში.

მასწავლებელი ხატავს დაფაზე ოთხკუთხიან უჯრას და ჰკითხავს მოწაფეებს, შეუძლიათ რაც ჩხირები აქვთ იქიდან ისეთი ფიგურა შეადგინონ? რამდენი უნდა დაუმატო? ოთხი ჩხირიდან აკეთებენ კვადრატს, სახელს დარქმევენ და დახატავენ რეგულუმში. თვითიული მოწაფე აიღებს სამ ჩხირს, მოაკლებს ერთს და დანარჩენისაგან აკლავს რამე ფიგურას.

შემდეგ სურათების ქვემოთ ჩხირების რიცხვი უნდა აღნიშნონ წერტილებით.

ჰკითხავენ: შე ძლება კიდევ ნაკლები წერტილის დასმა? რამდენი წერტილის და რამდენით ნაკლების? დახატავენ გვერდით.

მასწავლებელი ამავე სამუშაოს დაფაზედ აკეთებს. შემოწმება წერტილების ანგარიშისა დაფაზე. მიუკლბით თვლა წერტილებისა სულ მცირე რიცხვიდან დაწყებული.

მუხუდოს ან სანთლის ცვილით და

ჩხირებით აკეთებენ ფიგურებს.

რიცხვები 6-მდის—ფიგურები 6 და 5—ჩხირებისაგან. პირველი გაკვეთილის პროცესის გამოკრება.

დაფაზე წერტილების დასმა სხვადასხვა კომბინაციებით და მათი სწრაფი კითხვა.

სმენით, მსხიერებით და შეხებით ვარჯიშობა. თვალ დახტული გამოკრებენ, რამდენჯერ დაკრეს ჯოხი მაგიდაზე, რამდენ საგანს შეეხო.

გაყოფა 2, 3 და 4 ნაწილად. სტრიან ქალაღს, ვაშლს, ამტვრევენ ჩხირებს, მონახვენ წრეს, სწორკუთხიანს, ჰყოფენ ნაწილებად და გააფერადებენ.

გადასმაში ვარჯიშობა: გაავსებენ კიქას წყლით, ნახევარ კიქ. ერთ მეომხედ კიქ. ერთ მესამედ კიქ. სამ მეომხ. კიქას. ჰყოფენ ჩხირს ან ქალაღის ზოლებს თვლით და შემოწმებენ სწორედ გაჰყვეს თუ არა.

საგნების თვლა სურათზე (მასწავლებლის შოაქვს კლასში ამისთვის შესაფერი სურათი.), სხვადასხვა კომბინაციებს აკეთებენ სურათების მიხედვით, ამ სურათების მიხედვითვე აღგენენ ამოცანებს და აკეთებენ.

ოთხი მოქმედება რიცხვებზე.

კარდონისას აკეთებენ კვადრატულ დომინოს და გინმართება თამაშობა. ციურების რიგს წერტილებით აღნიშნავენ და ქვემოთ ციურებს მოუწერენ. ჰქეკვენ ციურებს სქელ ქალაღზე და იმაზე ითვლიან: წარმოებს ზეზირი მუშაობა შედიგის რეგულუმში ჩაწერით. ეჭვევან ციურების სწრაფად გამოკრებას. რიგითი თვლა. პირველი, მეორე და სხვ.

მეორე საფეხური.

გაიმართება კლასში ვაქრობა. ვბა

შევები აკეთებენ სხვადასხვა საგნებს, ამოსკრიან, აფარდებენ; აკეთებენ ფულის ნიშნებს და გაიმართება საგნების გაყიდვა ორ-ორ, სამ სამად და სხ.

სხვადასხვა ნივთების ფასი ბავშვებმა დუქანში უნდა გაიგონ.

წონა და გაზომვა. ვაჭრობის დროს ბავშვები კლასშივე გაიგებენ რით და როგორ ზომავენ; წყავენ ფქვილს, შაქარს, ჩაის, კართოფილს, ნახშირს, რძეს, ნავთს; რით იზომება ქუჩა, ეზო, ოთახი, მაგიდა, სკამი, რვეული; რით ზომავენ დროს, ფულს. ჰხატავენ ამ საწყაოსა და ზომებს.

გატარებენ აზრს, რომ ყოველ-ვაჭრობაში სხვადასხვა ზომა იხმარება. ნაბიჯით გაზომვენ კლასს (ბავშვის ორი ნაბიჯი ერთი არშინია). შეამოწმობენ არშინით. გაზომვენ ეზოს, შემოაქვთ საყენი; აკეთებენ საყენიან ჯოხს, გაზომვენ იმაზე სამ არშინს. აიღებენ საყენიან ბაწარს და დაჰყოფენ არშინებად.

გაზომვენ ტაბურეტკას, ხელვენ, რომ არშინი დიდია, — ხმარობენ ფუტს, დააზომებენ ფუტს საყენიან ჯოხს და დარწმუნდებიან, რომ საყენში 7 ფუტია. გამოსკრიან ქალაღის ფუტს, დაჰყოფენ 12 ნაწილად და მიიღებენ დიუმს მოსკრიან ფუტის სიგრძე ჯოხს და აღწინავენ ზედ დიუმებს. მიღებული ფუტით ერთანეთს გაზომავენ და შემდეგ ჩასწერენ.

მასშტაბის გაგნობა. გაზომვენ არშინით კლასს და მის გეგმას შობაზავენ რვეულში, მიიღებენ მაგ. ვითოეულს რვეულს უჯრას არშინათ, თვითეული მოწვევ დაწებებით გამოიყვანს მასშტაბის საშუალებით კლასის ნიმუშებს და მის მოწყობილობას.

კლასში აკეთებენ დიდ საათს, მლოდ საათის რხრით და ამ საათზე არიზობენ.

აღგენენ სხვადასხვა ამოცანებს, მოიცნობენ ნაწილებს ნახევარს, მეოთხედს; სამ მეოთხედს; აქვე გაიცნობენ რომულ ციფრებსაც. ყურადღი ექცევა სწრაფ ანგარიშს. აპისთვის ასეთი საგარჯიშოა: დაფაზე შემოავიბენ წრეს, შუაში ჩასწერენ რამე რიცხვს წრის გარედ კი მთელი რიგია რიცხვისა.

ბავშვებმა სწრაფად უნდა იანგაზონ ჯამი წრეში მოქცეულისა და წარგარედ თვითოეულისა რიცხვისა; ან რინ დაფაზე სვეტებათ რიცხვებს და უწოდებენ სწრაფად შეადგინონ ჯგადასვლა წერით ამოცანებზე ბა ციფრებისა და სურათების კომბციით. ართმეტიკული ნიშნებსა გნობა და საკლასო დეფაზე ანგარიცხვების საშუალებით, რომელსაც წავლებელი იძლევის.

მოწვეთა უგუფი აღგენს ამონებს: ამოცანების ტემა აღებულია სეირნების ხარჯიდან (ანგარიზობენ დახარჯეს გასეირნობის დროს), ბიქირა, ტანისამოსი, წვრილმანი სავაქფოსტა. აღგენენ სწორ ცნობას ფარაოდენობაზე და ღირებულებაზე (ღერთეულის კვლობაზე — ღირებულერთეულობის რაოდენობაზე) ნაწევრანალიზი; შეკრება და გამოკლება ნარებობა, აპისთვის საჭიროა მგრვალი დლდი, იქრება და შეერთდება ვაშკარტოფილი და სხ. ნაწევრების ციფბით აღნიშვნა.

მესამე საფეხური.

აქ შეიძლება, მაგ. ასეთი სავარჯიშო:


თვლა ათეულობით.



$4 \times 2 = 8$
 $2 \times 4 = 8$



$5 \times 3 = 15$
 $3 \times 5 = 15$



$4 \times 4 = 16$

თვითოეულ მოსწავლეს ეძლევა 100
 (ან ექსკურსიის დროს შეუძლიათ
 რან და შეკრან ჩაღის (ღერები) ბავ-
 ი ერვეიან ჯგუფებად ათეულებად
 ვლას და ამ ჯგუფების შეკრებას.
 მოგეს ჯგუფობრივი თვლა (ათეუ-
 ლით). ერვეიან მრავალსაგნებიდან გა-
 ალაკეონ განსაზღვრული რაოდენო-
 ბგნებისა.

შემოღებენ მანეთიანს და იწყებენ
 ლთუნებით თვლას. გამოიციანობენ
 ყიდვა შეიძლება ათეულობით, მა-
 ითად ვაშლის, მსხალის, კვერცხების
 იღულობენ.

აღგენენ სურათებიან ამოცანებს.
 მიზობენ და ციფრებით აღნიშნავენ
 ელობის რაოდენობას.

მეოთხე საფეხური.

ეებითა და ერთეულებით ანგირიშუე
 გადასვლა.

ამისთვის ხმარობენ გაკეთებულს ხა-
 ლიშოს; ჩხირებს, ფულს, იმართება
 შობა, მანეთიანს ახურადებენ, ხურ-
 ლეჯულობენ და სხ.

ერთ თაბახ ქალაღის კვადრატს
 ებენ, ჰყოფენ 100 კვადრატით და
 ანგარიშობენ ათეულ ერთეულე-
 ამ სამუშაოზე ბავშვები აღვიღალ
 შნობენ რომელ ათეულშია ესა თუ
 იცხვი.

გაღისვლა გამრავლების ტიზელაზე.

ჩხირებისაგან შეადგენენ სხვა და
 სხვა ფგურებს და მოახდენენ გამრავ-
 ლებას.

ღიღს საათზე, რომელიც მოწაფე-
 ებმა გააკეთეს, აღნიშნავენ წუთის ისარ-
 სიც და საათზე მოახდენენ შეკრებას,
 გამრავლებას და სხვა მოქმედებას. აღგე-
 ნენ დროზე სხვადასხვა ამოცანებს.

სწარმოებს ასობით აღნიშნაღ,
 მაგალითად.

გაიყვანენ რამდენსამე სხვადასხვა
 სიგრძის ხაზებს და ერთმანეთთან შეფარ-
 დებით შიღგებენ კითხვებზე რამდენით ან
 რამდენჯერ მეტია ან ნაკლები ერთი ხე-
 ზი მეორეზე; ასეთი ვარჯიშობა თვალ-
 საჩინოთ სწარმოებს სხვა საგნებზედაც,
 რომლის დროს მოწ ფეგები ცხაღად წარ-
 მოიღგენენ რიცხვებს შეფარღებასიც—
 მეტ-ნაკლებობის მიხედვით.

გაიზარებოდა ვაქრობა ათეულობით, ღღერინობით, ოცუეულობით, ადგენენ და სწერენ ანგარიშებს, დაკლებულ ფასსაც აღნიშნავენ. ყოველ მოწაფეს საკუთარი ფაერთარი იქვს და ჩვეის წიგნი; დავთარში იწერება შესავალ-გასავალი, ანგარიშობენ რაც ქალაქში, კალმებში, ფანქრებში და რვეულებში დახარჯეს; ფასს მალაზიებში ტყობილობენ.

ანგარიში სწარმოებს ყოველ კვირაში ან ყოველ თვე. ანგარიშობენ რაც ექსკუსიის დროს დახარჯეს, ადგენენ გამრავლების, შეკრებისა და გამოკლების ტაბულებს.

ხელგარჯილობის გაკვეთილებზე აკეთებენ სხვ დასხვა საწყაოებს, ზომებს, მაგ. სასწორს, სასწორის ქვებს, მოცულობის საზომს, გაზომვა ისევ სწარმოებს. ადგენენ გეგმებს და ჯგუფები აკეთებენ სახლის, ეზოსა და ბღის ნიმუშებს და სხ.

ანგარიშში სავარჯიშოთ და ხელეზისა და თვალს გასვითარებლად სხვადასხვა სათამაშოსაც მიშართავენ ხოლმე, მაგალ. იატაკზე ცარკით მოხაზვენ ორს წრეს, აიღებენ ზღწი, ბაწრის რგოლს და ცდილობენ წრეში მოაქციონ, თან პირობის მიხედვით ანგარიშობენ კიდევ, მაგ. შეიგით წრე 5, გარეთ წრე 3 და გარეშე წრისა 1.

მაშპკიდებენ ან პატარა ზარს ან რგოლს და ესვრიან რასმე, იქვე ანგარიში.

ბ ა ტ მ ა.

ა) მუშაობის მეთოდი

ხატვაში ვარჯიშობს იწყებენ ცარკით დაფხვ, ნახშირით ქალაქდზე.

ქალაქდების გამოკრა. დაწებება ქალაქდის ფიგურებისა, ჩხირების დაწებება. ხატვა სწარმოებს ბეწვის კალმით ან ფოჩით, ყურადღება ექცევა სურათების რვეულში ღამაზათ დალაგებას.

სურათების განხილვა და მათი ანალიზი. თავისუფალი ხატვა. მოთხრობათა დასურათება, ყურადღება ექცევა მოძრობათა გამოხატვას.

ფიგურებისა და საგნების ძერწვა თიხისაგან. ამოკრა ხეში. ფანქარით ხატვა, თვითეული გაკვეთილი სამ ნაწილად იყოფა.

1. ამოცანის გარჩევა, 2. რეალ საგნების მდგომარეობა და 3. თავისუფალი ფანტაზია.

ბ) მუშაობის შესწავლა.

პირველი საფეხური.

1. მარტივ ფორმების შესწავლა: ა) წრე, ბ) კვადრატებრივ მრგვალი ფორმები, გ) სწორკუთხედი, დ) მრუდკუთხედი. მათი დანაწილება, დაფერადება, ამოკრა ქალაქდისაგან და დაწებება. ამ ფორმების გამოძებნა ბუნებაში.

2. ფერების გაცნობა. გარჩევა ხუთი ძირითადი ფერისა: წითელი, ლურჯი, ყვითელი, თეთრი და შავი.

ბავშვები ეჩვევიან ფერების გაცნობას, იბოვიან ამა თუ იმ ფერს სხვა ფერებში (ამისთვის საჭიროა ფერადი ქალაქდები), ფერს სახელს არქმევენ, გადადიან ფოჩით ხატვაზე, დაფერადებენ თვიანთ სურათებს. დაფერადების დროს თვითეულს ნება ეძლევა იიღოს ის ფერი, რომელიც მას უფრო მოსწონს (ამით გამოიცილობენ რა ფერი უფრო მოსწონს ბავშვი).

3) გაზომვა დუმიტ, ფურით, არ
ით. თავისუფალი ხატვა იწყება პირ-
გაკვეთილიდანვე. სურათების გან-
ვა, იმართება საუბარი, ბავშვები სი-
ვიერად აწერენ, რაც სურათზე ხატია
ობიარაკო სამუშაო).

მეორე საფეხური,

1. წინაღ გაცნობილ უმარტივეს
დღე და სწორი ფორმების კომბინა-
ბი; მათი ძებნა ბუნებაში და ხატვა.

2. ფერადები: შერევა ფერებისა.

3. ფორით მუშაობა; უფრო რთუ-
კონტურების გამოყვანა, არხებისა
ორნამენტების ხატვა ერთისა და შე-
ლი ფურებით.

4. გაზომვა: ხატვენ ბუნებიდან რა-
ხედვენ და შეზღვევ რომელიმე სა-
ით შეადარებენ დახატულსა და ნამ-
ის.

ამოკრას: დაერთვის დაწებება: აკე-
ნ სათამაშოებს, მაგალითად პაწია
ებს, კუბიკებს, ჩაჩრეის და სხვ.
იწყებენ ხაზვას: ბავშვები ზომიერ
ხაზვენ სამუშაოს გეგმას, რაც უნდა
ეთონ.

თავიანთ სათამაშოებს ბავშვები ყვე-
რით გააღამაზებენ, მოხატავენ და
დის ქაღალდებით გაამშვენებენ.

სილამაზეს დიდი ყურადღება ექ-
ბ.

5. თიხისგან ძერწა სხვადასხვა ფი-
ებისა.

მესამე საფეხური.

1. საგნების პერსპექტივა: ა) საგნე-
პროპორცია, ბ) პრეტყელი საგნების
გვლისა და სწორკუთხიანების) პერ-

სპექტივა ცალ-ცალკე და ერთად, გ) სა-
გნების პერსპექტივა სისტემატიურად არ
ისწავლება.

2. უფრო მეტად ვითარდება შემო-
კმელება.

3. აკეთებენ სხვადასხვა ნივთებს
კარდონისა და ხისას და იზავენ მორ-
თულობის ყოველგვარ წესს. განილვა
და გარჩევა სურათებისა გრძელდება.

წარმოებს ზეპირი თხზულება სურათ-
ზე დახატულის შესახებ. ზოგი სამუშაო
სრულდება ნასადილეგს თავისუფალ გა-
კვეთილებზე, მაგრამ იმ სამუშაოს გეგმა
შემუშავებელია ხატვის გაკვეთილებზე.

ხელგარჯილობა.

ა) მუშაობის მეთოდი.

ხელგარჯილობის გაკვეთილები მტკი-
ცედ არის დაკვირვებული ხატვის, ერთ-
მეტეისა და ბუნების მტკიცელების სწავ-
ლებასთან: აქ საგნების ანგარიშიც არის,
აზომვაც და ფორითა და ფანქარით მუ-
შაობაც (ყველა გაკეთებული ნივთი მო-
ხატულ-გაღამაზებულია) აკეთებენ სხვა-
დასხვა ნიმუშებს იმ ტემებზე, რომელიც
გაარჩიეს და შეისწავლეს ბუნებისმეტყვე-
ლების გაკვეთილებზე.

მასალას წარმოადგენს: კარდონი,
ჩირები, ფერადი ქაღალდები, ფერადი
ფანქრები და ფიცრები.

მთავარი ყურადღება მიქცეულია და-
ნის ხმარებაზე, ხელის სიმარდისა და მუს-
კულების განვითარებაზე.

გაღვიძიან უფრო ნამდვილ სამუშაო-
ზე, გაცნობიან ტენიკურ ვარჯიშობას,
ხერხის, შალაშინის, ბურღისა და სიტე-
ხის ხმარებას.

ბ) მუშაობის მსგელობა.

პირველი საფეხური.

1. საბავშვო ბაღის სამუშაო. ფორმების გაცნობა: კვრატის მაგარი ფორმები, სივრცელი, სწორკუთხედი. მათი დანაწილება. ამ ფორმების გამოყენება.

მასალა: ფერადი ქაღალდები, ჩხირები, მუხუდო, ლობიო.

ჩხირებისა და მუხუდოსაგან აკეთებენ სხვადასხვა ფიგურებსა და ნივთებს, შეღამაზებენ, გარშემო თხელ ფერად ქაღალდს შემოაწყებენ, ერთი სიტყვით, იგონებენ მორთულობის სხვადასხვა საშუალებებს.

2. მომზადება ბავშვებისათვის საქირო ნივთებისა: რვეულების ჩასაწყობად მხვილქაღალდის ჩანთებს; კალმების, კარანდაშებისა და კალმის ტარების ჩასაწყობად შრვალ და სეტკუსისი კოლოფებს. ყველა ამათ კარდონისა აკეთებენ და შეღამაზებენ სხვადასხვა საშუალებით. ბავშვები აკეთებენ ღომინოს: აიღებენ სქელ კარდონს, დასკრიან კვადრატებს და ფერადებით ხატავენ თვლებს; ამ ღომინოს თამაშობენ, რომლის დროსაც ვარჯიშობენ თვლაში.

თვათოვლი მოწაფე იკეთებს საანგარიშოს. მასალად ხმარობს კარდონის ნაქრებს, მავთულს და პრობკას.

თხისას ძერწენ სხვადასხვა სახეებს და აღამაზებენ.

მეორე საფეხური.

მასშტაბის განზობა, — ხაზვა.


ბავშვები ჯგუფებად იყოფებიან, აშენებენ სათამაშო სახლს მთელის მოწყობილებით, ქობებს და ქალაქის სახლებს, რომელიც ექსკურსიის დროს დაკვირვებით უნახავთ. აქ მიჰმართავენ მუშაობის ყოველ წესს: ქაღალდზე, ხეზე მუშაობას და ძერწვას. სახლის კედლები შეიძლება შეწებონ კარდონისა და გაამშენონ, მორთულობა და ღობე ხისა, ცხოველები, ადამიანები და ბოსტანი შეძერწილია თიხისაგან.

მესამე საფეხური.

ჯგუფურა მუშაობა, დასურათება გეგონისა და წაითხუჯისა.

აკეთებენ სხვადასხვა ზომებს, სათხს, კალენდარს, სასწორს, მოცულობის ზომებს. აკეთებენ სხვადასხვა სათამაშო ნივთებს, მაგალ. მატყლის ბურთს, რგულვას თოკის ჩაშოსაცმელად, ბაირაღებს, ჩილიკა ჯოხს, ბზრიალას, სამეურნეო იარაღების მოდელებს; ორთითს, ფიწალს, ნიჩაბს, ხერხს, კევრს, ურემს, გუთანს და სხვ.

დ. ბოცგძე.



სამშობლო თუ კაცობრიობა?

„მაშულიშვილი ის არის, ვინც სდილობს კაცობრიობის საკეთილდღეოდ და გარეშე ერების უვნებლად, მოუპოვოს უმაღლესი კულტურა თავის მშობელ ერს, რომელშიაც დაბადებულა, რომელსაც დაენით ან ზნე-ჩვეულებით ჩუთუნის“

ბებელი.

„ხალხის ენა, ზნე-ჩვეულება და ხასიათი, მისი წარსული ცხოვრება და მომავლის იმედი, — ნუ თუ გვაჩივს, რომ ამის მოსპობა შესაძლო იყოს ან სასურველი? სოციალიზმი ხელს უწყობს ადამიანის ყოველგვარ ნიჭს, თავისებურობის განვიარჩებას. და როგორც კერძო ადამიანი შეიჩვენს თავისებურობას, ისე შეჩვენება ეს თავისებურობა ერსაც, სამშობლოსაც“.

ურავნი.

„სამშობლო თუ კაცობრიობა“? ასე უპირდაპირბდენ ერთმანეთს ამ ორ ცნებას ჩვენში ცამეტობდე წლის წინეთ. და ამ დაპირდაპირებამ ერთგვარი ლიტერატურაც შექმნა: სწერდენ, როგორც გაზეთებში, ისე განსაკუთრებული წიგნაკებიც გამოიკა. ერთმა გამოცემელმა ინტელიგენტ ქართველობას მძკარია წერილობით და სთხოვა გამოეტყვათ აზრები ცალკე წიგნად უნდა გამოცემულიყო, ერთი წერილი მეც მომევიდა და პასუხიც დაემაზადე, მაგრამ ვაგზავნათ არ გამიგზავნია. ამას წინეთ ძველ ნაწერებზე ვათვლიერებდი და, სხვათა შორის, იმ ჩემ წერილს წააწყდი. ვაქვეყნებ ახლა, 13 წლის შემდეგ დაწმენილი, რომ იგი დღესაც არაა ინტერეს მოკლებული.

სამშობლო თუ კაცობრიობა? ყოველი საკითხი, რომელიც არსებულ სინამდვილეს შეეხება, კონკრეტულად უნდა განხილულ და გადაწყვეტილი იქნას; კონკრეტულად უნდა გადაწყვეტილი იქნას წინამდებარე საკითხიც; მით უმეტეს, რომ „სამშობლო“ ყველა ხალხისათვის ერთისა და იმავე შინაარსის ცნება როდია. ამიტომ სჯობს ჩვენც პირდაპირ კონკრეტული მაგალითი, სახეილოდ ჩვენი სამშობლო, ავიღოთ და ვიკითხოთ: ეწინააღმდეგება ეს ცნება კაცობრიობის ცნებას, თუ არა?

რას ეძახის შეგნებული ქართველი თავის „მამულს“ ანუ „სამშობლოს“?

ცნება „სამშობლო“ დღევანდელი ქართველისთვის შემდეგ კერძო ცნებათ შეიცავს:

1. ისტორიულად ნაანდერძვეს და დღეს თითქმის პირწმინდათ ქართველთა ტომით დასახლებულს, ცხოველ-მცენარითა, ჰავითა და მინერალური სიმდიდრით უზესა და სხანახობით გულწარმტაც მიწა-წყაღს, ტერიტორიას.

2. ისტორიულადვე ნაანდერძვეს, ახალი დროის შესაფერად განვითარებულს და მომავალშიაც განვითარებადს სოციალისტური ერაყუნუს ენას;

3. ფრიად ორიგინალურს, მრავალგვარ საკაცობრიო კულტურათა შეზავების ნიადაგზე აღმოცენებულს, ხელაყუნას (პოეზიას, ზრქიტეკატურას, სიმღერაგალობას);

4. მრავალსაჯკონოვანი განვლილი ცხოვრებიდან გადმონაცემს მაკანებებსა და წყულებებს;

წ. უფარგისის აწმყოის და უფარგი-
ნი წარსულის უარყოფის აუცილებლო-
ის შეგნებას, უკეთესის მომავლის იმედს
და ყოველმხრივი განვითარებისადმი უღ-
იეკელს მისწრაფებას;

6. და, უკანასკნელი, ყოველისავე
ემო თქმულით შეკავშირებულს ადამი-
ნთა აგრეგატს, ტომს, ანუ „ქართვე-
თბაქს“.

ასეთია შინაარსი იმ ცნებისა, რო-
ელსაც დღევანდელი ქართველობა თა-
ს „სამშობლოს“ ანუ „მამულს“ უწო-
ებს. და ამ განსაზღვრის შემდეგ, ვკო-
ნებთ, თავისთავად ცხადი უნდა იყოს,
ომ ჩვენი „სამშობლო“ მთელ „კაცო-
ბობისა“ და მისი ტერიტორიას. ჩვენს,
ქართველებს, ისტორიულ გარდამოცემათა
პროგრესიულ იმედობასწრაფებათა ერთ-
ერთი სახენაწილია და მეტი არაფერი. და
ილად გონება დაშუქული უნდა იყოს
კაცი, რომ დაწყოს მტკიცება, თითქოს
ქართველის მხრით თავისი „სამშობლოს“
ამოკომაგება, მისი სახელის დაცვა შე-
ბლაღვად და მის პროგრესიულ იმედ-
ობასწრაფებათა თანახმად მოქმედება „ქა-
ობობის“ ინტერესებს ეწინააღმდე-
გობდეს, „კაცობრიობს“ სამსახურს
არკლებდეს. პირიქით, ეს ერთადერთი
შესაძლო სამსახურია კაცობრიობისა,
აღვან წარმოუდგენელია „კაცობრიო-
ბის“ ყერძო „სამშობლოთა“ გარეშე, ისე
აგორც „მრთელი“ წარმოუდგენელია
ს შემადგენელ „ნაწილთა“ გარეშე.
ენ ვერ წარმოგიდგენია ცოცხალი
ადამიანი და საზოგადო მოღვაწე, რომე-
იც ერთ განსაზღვრულ ტერიტორიაზე

არ სტოვრობდეს, რომელსაჲ, ტომს არ
ეკუთვნოდეს, თავის დედაენად რომელ-
საჲ ენას არა სთვლიდეს, დროისა და
სივრცის გარეშე იღვეს და სხვა. ყოველი
საზოგადო მოღვაწე ადამიანთა ერთს
რომელსაჲ განსაზღვრულ ჯგუფს ემსა-
ხურება და კაცობრიობის სხვა ჯგუფთა
შორის მომავალში საპატიო ადგილს უმ-
ზადებს. აგრეთვე ყოველი ქართველი
პროგრესიული მამულიშვილი თავისი „მა-
მულს“ ანუ „სამშობლოს“ ემსახურება
და სხვა ერთა შორის ღირსეულ ადგილს
უმზადებს.

შესაძლოა მართლაც გამოდგეს ფურ-
ნიერის აზრი, რომ შორეულს მომავალში
კაცობრიობის ყოველმხრივი განვითარე-
ბის უმაღლესს საფეხურზე, მნიშვნელობას
დაქვეყნავს ყოველგვარი ტერიტორია-
ლური საზღვარი და „სამშობლო“ უბ-
რალო კრებული და ექნება ერთი ენით
და წარსულით შეერთებულ ადამიანთაო,
მაგრამ ჯერჯერობით კი, ვიდრე ადამი-
ანსა და ადამიანთა კრებულებს ბევრი
რამ მოსდევს მხედური და ანამ ჩვენი
სამშობლოც განსაზღვრულს შიდატიკურ,
სოციალურ და ეკონომიურ ზარბაზნში იმ-
ეოფება, არ შეგვიძლია სამშობლოს მო-
ღალატედ არ ჩავსთვალოთ ყოველი ქარ-
თველი, რომელიც თავის ერს — ქართველ
ხალხს დაივიწყებს და შორეული ტომ-
ქვეყნების სამსახურს წაგბლაუქება.

1905 წელი, 16 ივნისი.
თფილისი.

ს. გარგაძე.

ქანეთში დარჩენილი ძველი (ქრისტიანობის დროის) გადმოცემანი და ჩვეულებანი.

I.

მეფის წყარო*)

ხოფის ბაზრიდან აღმოსავლეთით ნახევარი საათის გზაზე სოფ. ბუჯალს არის ერთი წყალი, რომელსაც „მეფის წყაროს“ ეძახიან (ქანურად: მუფაწყარი). მთელ ხოფას ამისთანა კარგი წყალი მეორე არ არის. ჩვენი ძველებისაგან გავიგონია, რომ №40 წლის წინეთ ამ ადგილებში მეგრელები ყოფილან. იმ დროს ოსმალეთის ფაღიშაჰმა სულთან სელიმმა ლაზის ჯანს ომი გამოუცხადა და დაიჭირა. აქაური მეგრელები თანდათან მუსლიმანებად გადაიქცენ. ჩვენც ეს სიარწმუნოდ მიგვაჩნია, რადგან ჩვენი ლაპარაკი (ოღარდალუ) და მეგრელების ენა ერთი მეორეს წაავას.

მეფის წყაროდან ასი ნაბიჯი; ქვემოდ ერთი სველი ქვის კედელი იყო. ძველი კაცებისაგან გავიგონია, რომ იქ ძველად ქრისტიანების საწინახელი (ოქონახუ) ყოფილა.

ამას გარდა მეფის წყაროდან ნახევარი საათით ზემოთ ნოსიტონეს**) ზევით მაღალ მწვერვალოს „ქრისტიანების სასაფლაო“ ჰქვია (გაურ მეზარე ჯოხანს). ამ მწვერვალოზედ ძველი საფლა-

ოვებია, დღესაც საფლავის ქვები მოსჩანს.

მეფის წყაროდან ერთი საათის გზაზე მარჯვნივ ნადირათის*) მწვერვალზე დიდი ძველი ეკლესიის კედლებია.

ეს ნიშნებიც გვინაჩვენებს და აგრეთვე ძველი კაცებისაგანაც გავიგონია, რომ ჩვენი ძველები მეგრელები ყოფილან, რომ გურჯების ფაღიშაჰს თამარ მეფეს მთელი ეს არე-მარე ძველ ტრაპიზონამდის ხალხს სჭერია. ამიომაც ამ ბუჯალურ წყალს „მუფაწყარი“ ჰქვია.

ამას გარდა ათინას ბ. ზარს იქით ზღვაში დიდ კლდეზედ ორსართულიანი და ოთხკუთხი ერთი ძველი ციხე დგას, რომელსაც „ციხკულე“ (ქალწულის ციხე) ჰქვია. ისიც თამარ მეფისა ყოფილა.

II

ახალი წელი**) (წინაღანი).

1.

ჩვენს სოფელში ახალწლის მოსვლამდის ორი-სამი დღით წინ სხლს, წინკარსა და ეზოს დახვეტენ, ყოველგვარ ქურქულეულობას დარეცხვენ და ახალი წლის დადგომას მზად დახვეტნიან; რო-

*) ჩაწერილია ქანურად სოფ. ბუჯალში წასულ წლის 21 აგვისტოს მუჰამედ ეფენდი მელერჯიზადესა და მემედ ალ. ჩეფოლის ნაამბობიდან.

**) ბუჯალის გორაკის სახელია.

*) ორთახოფის გორაკის სახელია.

**) მუჰამედ ეფენდის ნაამბობი.

არც ყურბან-ბაჰრამს. ეს ალათი არც ურქებშია და არც არაბებში არ იციან; ოლოდ ლაზები ასრულებენ. დიდდეს ვითხებ: „ჩვენი ახალი წელი მარტია, იანვარში რაღად ვასუფთავებთ სახლებს მეთქი?“ მითხრა: „ქელერჯიოლდი მტალა პაპაშენისაგან გამოგონია, რომ ენი ძველები და მეგრელები ძმები ყოფილან, ამისთვის ამ ალათს დღესაც ვაულებთო“.

2.

ახალწლის დილას წყალს ქოვიანთ. ძროხას ბოსლოდან სახლში ამოყვანთ, თორ გოგრას (კასტანე) დაქრით და ვაქმევთ. თუ ძროხამ სახლპირველად მარჯვენა ფეხი შემოდგა, კარგი ნიშანია. ბერს სიძინდს ჩამოპამთ სხენზე. ბავშვები მოვლენ, ადუკ გვაქვს მივსკეთ რამე. აჰ დღეს ერთ-ერთში არ დადიან და არც რამეს გასემენ სახლიდან.

3.

მარტის პირველს (ვარიანტი: ახალწლის დღეს) სხენზე (ოცხონი) ავლენ, ოცხს დაარტყამენ, დახვეტავენ, წყალს ეტყვიან: „ე რწყილო, შენ წაამარტი მოვიდეს!“ *).

(ვარიანტი: ახალწელს მამაკაცს საღიშო არ დაარსჩენდენ, ბევრი რწყილი ნებაო. ქერზე ერთი ქალი გავიღოდა ქვემოლენ რო ჰკითხავდენ „რას შერეო“? რწყილს ვკადავო, უპასუხებდა).

* 2 და 3 მუხლი მიაბო ოსმან ეფენდი აჯალაზადემ ათინეში შდ. მეგრულში რწყიში კოფთა რწყილის ქერა დიდს ხუთ ბათს (იხ. ჩემი „Граматика мингрельска-языка“, გვ 398—399).

III

კეცზე ჯვარის დასმა*)

ჩემს ბავშობისას ერთხელ დიდდამ ბაზრიდან ახალი კეცი მოიტანა. კეცი რომ გამოწვა, ნახშირი აიღო და კეცს ერთი დაღმა და ერთი განზე ხაზი გადაუსვა ჯვარის სახედ. კაი ხნის შემდეგ გურჯისტანს წავედი და იქ ქართული წერა-კითხვა ვისწავლე. ერთხელ ერთმა დედაბერმა კეცი მოიტანა ფურნეში გამოსაწვავად. იმანაც ნახშირი აიღო და როგორც ჩემმა დიდდამ კეცი დაღმა და განზე გადახაზა. მე შევეკითხე დედაბერს: „ამ კეცს რაა, რომ გადახაზე?“ მეთქი? მიპასუხა: „ეს ჩვენი ჯვარია, რომ კეცს თვალი არ ეცეს და არ გასკდესო“.

ერთი წლის შემდეგ ისევ ხოფას მოვედი. დიდდეს ვკითხებ: „შენ რო კეცს გადახაზე, იმას რა ჰქვიან?“—მეთქი მითხრა: „რა ჰქვიან არ ვიცი, მეც ჩემი დიდდისაგან ასე მისწავლია; მისთვის გადავხაზეთ ხოლმე, რომ ახალ კეცს თვალი არ ეცეს და არ გასკდესო“. მე ვუთხარე: „მამს რომ ახაზე, ეს მეგრელების ჯვარია და ნუ ხაზე, ცოდვა არის“—მეთქი. მან კვლავ მითხრა: „გინდ ცოდვა იყოს და გინდ რა, მე ძველებსაგან რაც მისწავლია და მიჩაბავს, ის უნდა ვქნაო“.

IV

საეკლესიო ნივთები**)

ამ წნ წლის წინათ ბავშვები ვთამაშობდით სახლში და მაღლა ქერზე ავებ-

*) იმავე მუხამდე ეფენდის ნაამბობი.

**) აბდულა ეფენდი აშიქხასანოლის ნაამბობი.

დით. იქ ერთი ზანდუკი ვნახეთ. ავხადეთ და რა ვნახეთ?—იესო წინასწარმეტყველისა (ირა ფელამბერი) და მარიამ დედის ხატები, მღვდლის შესამოსელი და ბაიზალი, საცეცხლო და საკმევლის ქურქელი და ჯვრები. ზანდუკიდან ამოვიღეთ ეს ნივთები, სახლში ჩამოვიტანეთ და ვთამაშობდით. დიდდამ დაგვიჩხა, გაგვიწყრა და გვცემა: „ეს ნივთები ძველი კაცებისა იყო. ორასი წლის ნივთები ჩვენ შენახული გვექონდა და თქვენ ასე რათ დაგაქსო? ცხლავე წაიღეთ და საცა იყო, იმ ადგილას დადეთო“. ჩვენც წავიდეთ და ზევით ზანდუკშივე ჩავდევით. დიდუხას რა არ გაგო ისე მალვით ორი ჯვარი ავიღეთ და ბაზარში ბერძენ მქედელს სამ ოყა თუთუნში მივიტით. შემდეგ გავიგეთ, რომ ამ ბერძენს ზნ ლირათ გაეყიდა. რაც დარჩა ნივთები ვინახავდით. ამ დიდ ომინობამდის გვექონდა. დიდუხასგან დაწყებული ვიყავით და ხელის ხლებას ვერ ვებედავდით. ომის გამო გადავიხვეწეთ, მუჰაჯირი გავხდით და როდესაც შინ დავბრუნდით, სახლი გადამწვარი დაგვხვდა.

V.

ფარული ქრისტიანი ტუხა*).

ამ ორასი წლის წინათ ყოფილ ერთი დედაკაცი, სახელად ტუხა რქმე ვია. ყოველ კვირა დღეს დაიკარგებდა. თურმე და სად დაიარებოდა, არ იცოდა. ერთხელ ახალწლის დღესაც დიდი დანვე დაიკარგულა. ვაჟი წასულა მიესძებრად და გზაზე წამოწვია.

„დღეილო, მითხარ სად მიდიხარ? არ დამიძალო, თირემ მოგკლოვ“.

„შეილო, გორაზე მივალ სალოცავში (ოხვაჟე), რომ დმერთს ვევედრო. ისალოცავში რისთვის დადიხარ? მუსლიმანი არა ხარ შენ? ყოველ კვირადღეს რო იკარგები ხოლმე, აქ დადიხარ განა“?

— პო შეილო, აქ დავიარები.

„აწუი იელი ხოლმე?“

— არა შეილო, აღარ ვიცი. აწუი მეც მუსლიმანი ვიქნები. ნურას მეტყვი მეტს, ნურას მელაპარაკები.

იოსებ ვიფშიძე.

ილია ჭავჭავაძე ტფილი ში**).

(კავრძელება).

1884 წელს, როცა პირველად ილია დასახლდა მამიკე ქუჩაზე ზუბალაშვილის სახლში. აქაური ბინა, თუმცა დიდი არ იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, ნათელი და მომარჯვებულს იყო. მე მაინც ამ ბინა-

*) მემელ ეფენდი შიშმან ოღლის ნამბობი არქაბეში.

***) იხ „განათლება“ 1917 წ. № 6—7.

დან ბევრი სასიამოვნო მოკონებანი ჩამოიხრჩა გულში. ილია მაშინ, ზედარებით, ახალგაზრდა და ყოველთვის თითქმის კარგ გუნებაზეც იყო, ასეთივე ფიზიკური იყო მაშინ ილიას მეუღლე ოლღაც, როცა მელიტ მაშინ დიდ მოღვაწევობას იჩენდა საზოგადო საქმეში, ყოველ წელიწადს სახლში ამზადებდა სხვადასხვა ნივთებს ალფერისათვის, როგორც ქ. შ. წ. კ. საზოგადოების სასარგებლოდ იმართებოდა ხოლმე.

1. ილიას მეგობრები მაშინ ყველა ცოცხალი იყო და ხშირადც ნახულობდნენ მას. ყველაზე ახლო იყო ცხვედაძე სცხოვრობდა, იგი მაშინ ძლიერ გატაცებული იყო სასკოლო საქმეებით და ქ. შ. წ. კ. გამ. საზ. და სააზნაურო სკოლის განვითარებაზე ოცნებობდა. ეს იყო იშვიათი პატიოსანი და დაუღალავი საზოგადო მოღვაწე. გონებრივი ნიჭითა და პედაგოგიურის ცოდნით მასზე მალე იაკობ გოგებაშვილი იდგა, მაგრამ მუღშივი მცდალინობითა და შრომით ცხვედაძე ცდილობდა ამ ნაკლის შეესებას.

ნიკო ცხვედაძე მტკიცე ურყველი ხასიათისა იყო, მას მიენდობოდა ყველა საქმე, რომლის შესრულებაში ყოველთვის სინდისით ხელმძღვანელობდა. ის მართლა საკვრველი ადამიანი იყო და ქართველ მასწავლებელთა სასახლოთ უნდა ვსთქვა, რომ მათ შორის მინახავს ბევრი მშენიერი, მშვიდი და საქმის მოყვარული პიროვნება.

ნიკო ცხვედაძესთან ლაპარაკის დროს მალე გაიგებდით თუ, რა იზიდავდა მას ყველაზე უფრო, რადგანაც მისი სალაპარაკო მუდამ ან „წერა-კითხვის“ გამ. საზოგადოება, ან სააზნაურო სკო-

ლა იყო. პირველის შესახებ იგი მუდამ სიღარიბეს უჩივოდა, რადგან ბევრს წევრს საწევრო გადასახადი არ შეჰქონდა და სხვა წყარო „წერა-კითხვის საზოგადოებას მაშინ არა ჰქონდა რა, რადგანაც მაშინ არაფერს ჰფიქრობდა სიკვდილის შემდეგ ნაწილი თავისი ქონებისა საკულტურო და საქველმოქმედო დანიშნულებით დაეტოვებინა. ზგონია ნიკო ცხვედაძემ დიდად შეუწყო ხელი იმას, რომ ბოლო დროს მრავალი ქართველისათვის საკულტურო მიზნით ქონების ნაწილის დატოვება ზნეობრივ მოვალეობად გახდა.

ილია ქავჭავაძეს ძლიერ უყვარდა ნიკო ცხვედაძე და პატივისცემით ეპყრობოდა საზოგადო, საკეთილო საქმეში დაუღალავის შრომისა და პირადი უმწიკვლო ხასიათის გამო.

2. ილია არა ნაკლებ პატივის მცემელი იყო იაკობ გოგებაშვილისა, მაგრამ მას, ცოტათ თუ ბევრად, კრიტიკულად უყურებდა, რადგანაც გოგებაშვილი მისი ქუჩის მიუხედავად, თავის ნათქვამი, ბავშვივით თინიანი და საკმაოდ თავმოყვარე კაცი იყო, უფრო მწერლობაში. გოგებაშვილს მტკიცე და მწერყველი ხასიათი ჰქონდა, მასთან ძლიერ გულკეთილობასაც იჩენდა. რაც კი შეეძლო, ყველას ეხმარებოდა და მისი სიპატიოსნე ყველამ იცოდა.

ილია ქავჭავაძე ხშირად აქებდა გოგებაშვილის ნიჭის შემოქმედებას, რადგან მან შექმნა საქართველოში საბავშვო მწერლობა, აქებდა მის დამოუკიდებლობას, რადგანაც მან შეადგინა უმოთხერესი წიგნები „ღედა ენა“ და „ბუნების კარია“; გოგებაშვილი მუდამ აუმჯობესებდა თავის წიგნებს და ამნაირად შექმნა ფრი-

აღ უსაქიროესი სახელმძღვანელო წიგნები ქართველთათვის. გოგებაშვილი ქართველებში პირველი იყო, რომელიც თავის წიგნების შემოსავლით ცხოვრობდა. ეს წიგნები იყო მისი შვილები, დღე და ღამ მუდამ მათს გაუჩუბობსობაზე ჰჭიკრობდა და იმავე დროს ბევრსაც კითხულობდა პედაგოგიიდან, რაც კ. პისტოვის სასარგებლო იყო. მთელი 28 წლის განმავლობაში ნაცნობობა არ შემცირებულა იაკობ გოგებაშვილთან, ხშირად დავდიოდი მასთან და შეგნიშნე ერთი ნაკლი, სახელდობრ ის, რომ ნაკლებად იცნობდა პრაქტიკულ ცხოვრებას, იგი უფრო თეორეტიკი იყო და კაბინეთში მომუშავე მეცნიერი. მაგრამ მიუხედავად ამისა, თავისი ნიჭისა და ბუნებრივი აღზრდის მიხედვით გოგებაშვილმა შექმნა რამდენიმე წიგნი, რომელშიაც, პირიქით, გამოკლიდებაც სწავს და ცხოვრების ცოდნაც: „ბუნების კარშია“, სადაც საქართველოს აწერილობაა მოყვანილი, არა სწავს, რომ ავტორი ნაკლებად იცნობდა საქართველოს და მთელს თავის სიცოცხლეში ბორჯომის, სურამისა და ქართლის ზოგერთ ადგილების გარდა, საქართველოს სხვა კუთხეში არ სად ყოფილა. რასაკვირვე ია, გოგებაშვილს რომ დავლილი ჰქონოდა საქართველოს ყველა კუთხეები, რომელთა აწერილობა წიგნში აქვს მოთავსებული, ეს აწერილობანიც უფრო მდიდარი და ცოცხალი იქნებოდა, მაგრამ ექვს გარეშეა, რომ „ბუნების კარში“ ც, როგორც არის აკმაყოფილებს მოხარულ თაობის მოთხოვნილებას და კარგადაც ასრულებს თავის დანიშნულებას. ორი უმთავრესი წიგნი გოგებაშვილისა „დედა ენა“ და „ბუნების კარი“, ექვს გარეშეა, სამაგა-

ლითოდ უნდა ჩაითვალოს და დიდხანსაც იქნება ხმარებაში. ამას ხშირად უწინასწარმეტყველებდა მას ილია ქავჭავაძე და ილიაც მოხარული იყო, რომ ეს წიგნები ძლერ ვრცელდებოდა საქართველოში.

იაკობ გოგებაშვილი ილიასთან მხოლოდ საქმის გამო მოდიოდა, არც მახსოვს, რომ ოდესმე სადილოდ ან ვახშმად დარჩენილიყოს, საზოგადოდ იაკობი სტუმრად არავისთან დადიოდა. ეს ისეთი კაცი იყო, რომელიც თავისას კმაობს და სხვისგან არაფერს იღებს და თუ მოხდებოდა, რომ საჩუქარზედ უბრუნდებოდა, ცდილობდა სამაგიერო გადაეხადა, რომ დავალებული არ დარჩენილიყო. დიად, გოგებაშვილი იყო პატიოსანი, ბრწყინვალე პიროვნება, ნამდვილი პედაგოგი-მწერალი, რომელიც თავის სიცოცხლეში მუდამ სწავლობდა და სხვასაც ასწავლიდა. არ მახსოვს, რომ იგი გართული არ ყოფილიყო კითხვაში, ან წერაში; რადეცისამე წლის განმავლობაში თითქმის ყოველ დღე ათი და მეტი საათის განმავლობაში მუშაობდა, ხშირად გვიან ღამამობიანაც მწახავს საწერ მაგიდასთან მომუშავე. საზოგადოდ გოგებაშვილს მშვიდი და წყნარი ცხოვრება უყვარდა, ბევრ კმაყოფილებას არ მისდევდა, მისი სატრფიალო საგანი იყო სამშობლოსა და პედაგოგიის სიყვარული.

მ. თხზმოციან წლებში ილიას ხშირად სტუმარი იყო ვანო მაჩაბელი, რომელიც დაახლოვდა ილიას სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობით და ბანკში მოღვაწეობითაც. ვანო მაჩაბელი ნიჭიერი კაცი იყო, სერიოზულის მისწრაფებით ლიტერატურაში, რაც მტკიცდებ-

ბა მის მიერ შექსპირის დრამების ქართულად თარგმნით და გაზეთ „დროებაში“ თანამშრომლობით და იმავე გაზეთის რედაქტორობით, მას კარგი განათლება ჰქონდა მიღებული, იცოდა გერმანული და ფრანგული ენები და დასავლეთ გერმანიაშიც ნამუშაური იყო, ასე რომ მისი გონებრივი მომზადება საქმად იყო სალიტერატურო მოღვაწეობისათვის. ვანო მაჩაბელი მწერლობაში დიდს მიწვდომასა და სიყვარულს იჩენდა. როგორც შექსპირის დრამების მთარგმნელს თეატრიც უყვარდა და 1886—1887 წლების ზამთრის სეზონში თითქმის ყოველ კვირაობით დაედოდიოთ ერთად ქართულ თეატრში, სადაც ვასო მბაშიძის, მისი მეუღლის, (საფარავის) გაბუნიას, კოჭე მესხის, ყუფიანის, გუნიას და სხვების ორიგინალურ თამაშობას სცენაზე აღტაცებაში მოყვადით. მართალია, მათ ხშირად თავიანთი როლებიც არ იცოდნენ, მაგრამ მაინც ჩინებულად თამაშობდნენ,—არა შაბლონურად, არამედ ორიგინალურად. ვანო მაჩაბელი ყურადღებით ისმენდა თამაშს, მაგრამ სცენის ხელოვნების მკოდნე მაინც არ იყო, როგორც დავით ერისთავი, ავტორი „სამშობლოსი“, რომელიც ჩვენთან ერთად ხშირად დიდიოდა თეატრში. ვანოს მოსწონდა თამაშობის კომიკური მხარე და ბევრსაც იცინოდა კომიკური ადგილების დროს, დავით ერისთავი კი უფრო თავშეკავებული იყო და კრიტიკულად უყურებდა მათ თამაშს. თეატრის რეჟისორად მაშინ ვასო თუმანიშვილი იყო, წყნარი, მუდამ მოღიჟღარი ადამიანი, რომელიც მე ძლიერი რბილი ხასიათის ადამიანად შეჩვენებოდა. იგი არაოდეს მოთმინებიდან არ გამო-

დიოდა და ყოველთვის დათმობაში იყო.

ვანო მაჩაბელი ძლიერ მშველოდა „ეფემის ტყაოსნის“ გერმანულად გადართარგმნაში, მისას მე გავიცანი ალექსანდრე ყაზბეგი (მოჩნუბარიძე), რომელიც მაშინ უკვე მოშლილს ზოგაგონებდა— ცუდად ჰხედავდა და ბებერს უფრო ჰგავდა, თუმცა წლოვანობით 40 წელს ბევრით გადაცილებული არ იქნებოდა. მე მაშინ უკვე ვიცადი ზოგი მისი მოთხოვნები და, რასაკვირველია, ძლიერ საინტერესოც იყო მასთან ლაპარაკი მისი თხზულებებისა და საზოგადოდ ლიტერატურაზე შეხედულობის შესახებ, მაგრამ მისი ფიზიკური ავადმყოფობა ისეთი იყო, რომ ხალისიანად ვერ გამოგყვებოდა ლაპარაკში ისეთი საგნების შესახებ, სადაც აზრისადმი ძალის დატანება იყო საჭირო. ამნაირად დაიღუპა ეს ნიჭიერი ადამიანი, თავისი ნიჭს გაუფურჩქნეულად. როგორც აღ. ყაზბეგი, ისე დაიღუპა მრავალი ქართველ აზნაურთაგანი განუსჯელობით, უთავბოლო ფლანგვით, სიამოვნების წყურვილის მოკვლითა და სიზარმაცით. ექვს ვარეშეა, ალექსანდრე ყაზბეგი, ყმაწვილობას შფოთიანად ატარებდა და, როგორც მისი მოთხოვნებიდანა სჩანს, თვითგანათლებაზე ცოტას ზრუნავდა. ერთი სიტყვით, მან როგორც საჭირო იყო, ვერ გამოიყენა თვისი ცხოვრებისა და გონების ძალა, არამედ უღროოდ დაამსხვრია იგი.

ვანო მაჩაბელთან თითქმის ყოველ დღე იკრიბებოდა ახალგაზობა, რომელიც ლიტერატურას ან საზოგადო საქმეებს ენსახურებოდა მოდიოდენ ისეთებიც, რომელთაც თავი მოჰქონდათ— თითოს რასმე აკეთებენო, საქმით კი მარტო მქვერმეტყველობაში ვარჯიშობ-

დენ. რაკი ვანო შაჩაბელსაც ბევრი ლაპარაკი უყვარდა, იგი უთმენდა ყბედ მოლაპარაკებებსაც, მხოლოდ ხინდახან უწივოდა, რომ დროს მართმევენო, როგორც შეენიშნე ახალგაზრდების ხშირი კრება მართლა დროს აკარგვიანებდა ვანო შაჩაბელს, სალიტერატურო მუშაობისთვის მას დრო არ რჩებოდა და მას შემდეგ კი, როცა მისმა მგობრებმა ვანო შაჩაბელი ბანკის საქმეების გამო ილიასთან ბრძოლის ქსელში გააბეს, იგი სულ ჩამოშორდა ლიტერატურას, რომელიც ძლიერ უყვარდა.

3. 1886 წლის ზამთარში ილიამ რამდენსავე დღეში დასწკრა თავისი უკანასკნელი მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“. ამ დროს ილია ხშირად მართავდა ჩემთან საუბარს საზოგადოთ მოთხრობათა მნიშვნელობის შესახებ და როცა „ივერია“ გააფართოვა და გადაიქცა ყველდღურ დიდ გაზეთად, იგი ჰფიქრობდა გაზეთში დიდი ადგილი დაეთმო ქართულ ორგინალ მოთხრობებისათვის, „მოთხრობა ცხოვრების სწორი ანარკლი უნდა იყოს“, იტყოდა ხოლმე ილია. იგი ქართულ ცხოვრებაში მრავალ თავისებურ და ორგინალ ზნეობრივ ტიპებს ჰხედავდა; და ილიასაც იმედი ჰქონდა, რომ ახალგაზდა ქართველი მწერლები შეტყმნიდენ თავისებურ საინტერესო მწერლობას.

თვითონ ილიამ პირველი გზა უჩვენა „ოთარაანთ ქვრივის“ დაწერით, მაგრამ მისი გეგმა უფრო ფართო იყო. ილიას აზრი იმ დროს ფართო ესპარეს იქერდა და ისიც სერიოზულად ჰფიქრობდა ქართველ მწერლებისათვის ღერძია ისეთი გზა, რომელიც მიიყვანდა მათ

მშვენიერს თხზულეზამდის ქართულის ცხოვრებიდან. ილიას აზრით ქართული ცხოვრება ძლიერ ჰგავდა ესპანელთა ცხოვრებას. ეს აზრი მის დეზაიდა მის შემდეგ, როცა გადაიკითხა მთელი რიგი ესპანურ მოთხრობებისა და როცა გულდასმით ჩაუკვირდა „ლონკიხოტს“. მცც სიმოვნებით ვეზარებდი ილიას აზრს და ილიაც უფრო გატაცებული იყო იმ დროს თავისი აზრებით. რადენიმე კვირის განმავლობაში ჩვენ ბევრს ვსაუბრობდით ქართველი ტიპებისა, ქართულ თავისებურ ცხოვრებისა და ღონკიხოტის შესახებ საქართველოში.

ილიას დიდი ხნის ძებნა არ დასჭირვებია და სხვადასხვა სახით იპოვი იგი (ლონკიხოტი) იმერლეხში.

რამდენად მასალა ნიჭიერი მწერლისთვის! ამოპადა ილია და აგროვებდა იმერელთა ხასიათის თვისებებს, რომელიც ლონკიხოტს მოგვავიანებდა. თითქმის სანჩო-პანჩოშიაც ხედავდა ილია ზოგიერთი მსგავსებას კახელებისა და ქართლებებისა, რომელნიც, მიუხედავად თვის უმოძრაობისა; ხშირად აბრბენ შემთხვევითს დონკიხოტს.

ესპანურ მოთხრობებში ხშირად შეხედებით „გრანდის“ ტიპს (ეს არის ყოველ ქონებას მოკლებული, ჭალიტაქებული აზნაური, რომელიც თავისი აზნაურობით ტრამაზობს). ეს ტიპი ილიას ძლიერ იინტერესებდა, რადგანაც ასეთს გაფუქვენლი გალატაკებულს „გრანდებს“ ბევრსა ჰხედავდა ქართველებში.

რამდენი სესაცილო რამ არის და რამდენი თავისებურებაო! — იტყოდა ხშირად ილია და ძლიერ სურდა, რომ აღმოჩენილიყო ქართველი ნიჭიერი მწერალი, რომელსაც ამ ტიპებიდან შეძლე-

ბოლა კარგი მოთხრობის დაწერა.

შემდეგ ილიას ანტიტერცებსა ქართველი „მოუჩაისა“ და მიკამულეების ტიპი, უკანასკნელთა შორის მაშინ მრავალი ორგანიზირებული პირი იყვნენ. იყო მაშინდელ ბანკების კრებებზე ისინი გაზაფხულზე მრავლად ჩამოდიოდნენ ტფილისში და ილიაც ყოველთვის ხელდავლამაში ამ წოდების ფრიად საანტიტერცო წარმომადგენლებს. აქ იყვნენ ჩინებულნი წარმომადგენლნი „ძველი დროის მემამულეთა“, რომელნიც ახლა უკვე დამქრალია და მეტად სამწუხაროდ მიმჩნია, რომ მაშინვე არ ჩაიწერე ყველაფერი, თუ როგორ ახასიათებდა იმათ ილია. ხშირად ასეთს ბატონებს, ქართულად გამოწყობილებს, ილია სადილად ჰპატივებდა და მეტ შემთხვევა მეტყოფდა მათის გაცნობისა. მათი ზრდილობიანობა, დაპაჰაკა, უბრალო ხუმრობა, სასიამოვნოს და ორიგინალ ნიშანს ასვამდა მათ, რომელთაც ილიაც აღტაცებაში მოდიოდა.

თავშესაქცევი მასალა საუბრისათვის აუარტბელი იყო, ამ მასალების თვისება და ხასიათიც ამტკიცებდა, თუ რამდენსა და როგორ სერიოზულად ჰქვირობდა ილია ქართველთ ცხოვრების ყოველგვარ მოვლენათა შესახებ და როგორ ბეჯითად ცდილობდა იგი ქართული მწერლობის აყვავება-განვითარებისთვის. 4. როცა ვუკვირდები, რომ ხშირად აღმზანები მრავალი წლის განმავლობაში მეგობრულად მჭიდროდ ცხოვრების შემდეგ ერთმანეთს შორდებიან—თითქოს ერთმანეთს არც კი იცნობდნენ, ვსწუხვარ და საზოგადოდ მეგობრულ რწმენასაც ვკარგავ. თ-ღი კონ. მუხრანსკი ყმაცილობიდანვე ილიას მეგობარი იყო და

ოსხმოციან წლებში თითქმის ყოველ დღე მიდიოდა მასთან, ხშირად სადილობდა და საუბრობდა ილიასთან, მხიარულად და სიამოვნებით საუბრობდნენ სხვადასხვა საკითხების გამო კონ. მუხრანსკი იყო ნამდვილი ევროპელი გრანდ ჰენიოფა და მასთან ნამდვილი ქართველ დიდებუდი; იყო უმეტესად სასიამოვნო აღმზანი, ზრდილობიანი, მოლაპარაკე, ერთი სიტყვით, ნამდვილი ჯენტლმენი. თითქმის ყველა ნაცნობი სიმპატურად უტკეროდა მას, ყველგან სიამოვნებით იღებდნენ და ილიაც იმის საზოგადოებაში დიდს სიამოვნებასა გრძობდა. ილია და კონ. მუხრანსკი დიდი ხნის ახლო მეგობრები იყვნენ, შემდეგ კი, უმნიშვნელო გაუგებრობის გამო, აიშალნენ და დიდხანს, როგორც მტრები, ერთმანეთს ვერიდებოდნენ. მხოლოდ 1899 წ. მოვახერხე მათი ისევ შერიგება, მაგრამ ძველი მეგობრობა მაინც მკვდრეთით არ აღმსდგარა. თ-ღი კ. მუხრანსკი მუდამ კარგ გუნებაზე იყო და მასთან ხუმრობაც და მახვილი სიტყვებიც უყვარდა, რითაც უფრო იზიდავდა თავისკენ ილიას; ილიაც ყოველთვის კარგს გუნებაზე იყო, როცა კ. მუხრანსკი მასთან სადილობდა. კ. მუხრანსკის, თუმცა მთელი ევროპა შემოვლილი ჰქონდა, მაგრამ ყველაფერი ქართული უფრო მოსწონდა და, სხვათა შორის, ქართული სასმელ-საქმელიც. ხანდახან დილითვე ჰკითხავდა ილიას მეუღლეს ოდღას, რა ექნებოდა სადილათ, და თუ არ იქნებოდა მისი საყვარელი საქმელი, მაგ. ლობიო, ჩიხირთმა, ან ორაგული, სთხოვდა ერთი რომელიმე მაინც დაემზადებინათ სადილისთვის. სადილზე კონ. მუხრანსკი ძლიერ მხიარულობდა და სხვებსაც შეაქცევდა.

ხოლმე, მაგრამ იქცეოდა ყოველთვის ზრდილობიანად და ტაქტიკურად, მისი საქციელი ყოველთვის უმწიკვლო და სამაგალითო იყო სხვებისთვის.

როგორც ნამდვილი ქართველი კ. მუხარინსკიც ძლიერ სტუმართ მოყვარე იყო. მაგრამ შინაური პირობები ნებას არ აძლევდნენ მეგობრები დეპუტატი იყოს. მხოლოდ მამის სიკვდილის შემდეგ გაპარა ერთხელ წვეულზე და დილომში. ტფილისში კი წვეულზე მამის მმართვედა, რაცა ცოლი შინ არა ჰყავდა.

ერთხელ 1887 წ. პროფესორის ილ. ოქრომჭედლიშვილის მოსვლის გამო კოტეს მამამ, ძველმა თავადმა, ივანე მუხარინსკიმ გამართა დილომში წვეულება, სადაც ილიაც და მეც მიპატიებულნი ვიყავით. იქ მე გავიცანი გიგო გაბაშვილი, რომელიც ისიც იყო პეტერბურგის ხმამაღალი აკადემიიდან დაბრუნებულიყო, მაგრამ ზოგ მის ნახატებს მანამდინაც ვიცნობდი ტფილისში. ამ სურათების მიხედვითაც შემეძლო მსჯავრი გამოთქვა გიგო გაბაშვილის მხატვრული ნიჭის შესახებ და დარწმუნებულიც ვიყავი, რომ ქართული ყოფა-ცხოვრება მასში ფრიალ ნიჭიერს გამომატველს აპოვიდა. ასეც მოხდა. ქართულ ხალხურ ცხოვრებას ისე ნიჭიერად ვერაინ მხატვს, როგორც გიგო გაბაშვილი, რომ-

მელსაც შეუძლია ქართულ მდიდრულად მორთული ბუნების ფერადებით გადაღება ტილოზე. რავდენისამე წლის განმავლობაში გიგო გაბაშვილი მუშაობდა ქართული მხატვრული ხელოვნების განვითარებისა და გამდიდრებისათვის, მაგრამ მან მაინც ვერ მისცა თავის სამშობლოს იმდენი, რამდენსაც მისგან მოველოდით. საქართველოში ცხოვრება ხელს ვერ უწყობს ხელოვნანს, რადგანც მუდმივი ბრძოლა არსებობისათვის ხელოვნანს იძულებულად ჰხდის იმუშაოს არა თავისი მოწოდების გზით, არამედ ძალდატანებით, ლუკმა პურის საშოვნელად.

მეცენატები ქართველებში თითქმის არ არიან და დავით სარაჯიშვილის გარდა, რომელიც ხანდახან სურათებს ჰყიდულობდა გიგო გაბაშვილისაგან, იყვენ მხოლოდ მცირე შედეგების შემთხვევაში მყიდველები.

არც კ. მუხარინსკი იყო მეცენატი და საერთოდ იგი კოტეს უწყობდა ხელს ქართულ კულტურულ დაწესებულებებს; მხოლოდ თვისი სიცოცხლის ხანებში, ნიკო ცხვედაძის გავლენით, დაინტერესებული იყო სათავადაზნაურო გიმნაზიით.

(შემდეგი იქნება),

არტურ ლესტა.



ქართული სკოლის პროგრამა.

ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ა .

ა) შირველი განყოფილება.

(საანბანო*)

1. მოწაფეებთან საუბარი უსაქიროესტ ცნებათა შესათვისებლად, დაკვირვებისა და ბავშვის გარეგან გრძნობათა გასაფიქრებლად.

შენიშვნა: მასწავლებელი, ცოცხალი საუბრის საშუალებით, გაიცნობს მოსწავლეებს, მათ განვითარებას, ნიქს და სიტყვის მასალას, რაც ოჯახიდან სკოლაში მოუტანიათ. სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებელი მართავს ექსკურსიებს, რომლის დროსაც უყვარდება ბავშვების თავისუფალ ლაპარაკს და აზრთა თავისებურად გამოთქმას. პირველი წინასწარი საუბარი უნდა შეიცავდეს უფრო მახლობელსა და ბავშვებისათვის სახალისო, საყვარელ საგნებს: მაგ. სურათებს ბავშვების ცხოვრებიდან, სათამაშოებს, პატარა პატარა ამბებს, ზღაპრებს, მასწავლებლის მიერ კლასში წაკითხულს და ან მოწაფის მიერ მოთხრობილს ამბებს, ანბანში დახატულს საგნებს და სხ. საუბრებს თავიდანვე უნდა მოჰყვეს ხელგაჩაღობა, რომელიც უნდა გრძელდებოდეს სხვა გაკვეთილებზედაც ამოკრის, დაწებების, ძერწისა და ხატვის სახით.

2. წინასწარი ზეპირი და წერიითი საყარჯიშოები წერა-კითხვის შესასწავლად: წინადადების დაყოფა სიტყვებად, სიტყვების დაყოფა მარცვლებად და ხმებად. წერა ასოების ელემენტებისა ხატვისთან ჩართული, წერა რთული ასოების ელემენტებად დაყოფით, ხატვა მარტივი საგნებისა. წერა კითხვა (ანბანი) ანალიტიურ-სინტეტიკურის წესით, „ნორმალური“ სიტყვების საშუალებით.

3. საკითხავი მასალა: 1) შევებით კითხვა შესაფერი მოთხრობებისა, ზღაპრებისა, ლექსებისა და იგავ-არაკებისა. მოთხრობები ბავშვების ცხოვრებიდან: ბავშვი ოჯახში, სკოლაში და ბუნებაში, მისი მწუხარება და სიხარული. 2) წაკითხულის შინაარსის გადმოცემა თავის სიტყვებით. 3) ზეპირად და შევებით ცოდნა საუკეთესო ლექსებისა სახელმძღვანელო წიგნიდან. 4) სიტყვებურად გადმოცემა შეთვისებულ შთაბეჭდილებათა და აზრთა, როგორც წაკითხულიდან, ისე გაგონილ ამბებიდან. 5) წაკითხულის შინაარსის, ან რომელიმე ადგილის თვალსაჩინოდ გადმოცემა ხატვის, ძერწისა და ამოკრის საშუალებით. 6) მასწავლებლის მიერ კლასში კითხვა შესაფერი მასალებისა. 7) გარეშე წიგნების

*) ეს პროგრამა განხილული და დამტკიცებულია კავკ. სამოსწ. ოლქის კომისიის იტალიან არსებულ ქართული პედაგოგიური საბჭოს მიერ.

კითხვა მოწაფეების მიერ და მისი შე-
მოწმება. 8) გამოცნობა საგნებისა თვი-
სებათა მიხედვით.

4. საუბარი ანბანის სწავლის შემდეგ.
თვლისაჩინოდ განხილვა და აღწერა მახ-
ლობელ საგნებისა, საკითხავ მასალებთან
დაკავშირებით. ფერების გამოცნობა. სა-
საუბრო საგნების ძერწა და დასურათე-
ბა.

5. წერითი საგარჯობები: ბავშვების
მიერ მოფიქრებულ სიტყვებისა და წინა-
დადებთა წერა სურათებისა და საუბრის
მიხედვით. სახმო კარნახი. პასუხი კითხ-
ვებზე: ვინ რას აკეთებს სურათზე (სურ-
ათ-დედნები). გადაწერა წიგნიდან და
სასკოლო დაფიდან მისწავლის მიერ მო-
გონილის და მისწავლებლის მიერ დაწე-
რილის საუკეთესო მოთხრობისა. ძნელი
სიტყვების წერა დანაწილებით. გადაწე-
რა ზოგიერთის ცვლილებით. მოკლე
აწერილობა საგნებისა, სურათებისა. წერა
საკუთარის მოთხრობისა სურათების მი-
ხედვით და კითხვების საშუალებით წერა
თავისუფლად და მოკლედ საკუთარის
შთაბეჭდილებისა.

შენიშვნა: წერის დროს მოწაფე-
ბი თავიდანვე პრაქტიკულად უნდა
შეჩვიონ სიტყვების ვადატანის
წესსა და წერტილის დასმას წინა-
დადების ბოლოში.

ბ) მეორე განყოფილება.

1. გარკვეული და სწრაფი კითხვა
ნიშნებზე შეჩერებით. თავისი სიტყვებით
გაღმოცემა წაკითხულის შენაარსისა. სა-
ჭირო ოხსნა-განმარტების შემთხვევებზე
რად შესწავლა საუკეთესო ლექსებისა და
იგავ-არაკებისა, სხელმძღვანელო წიგნი-

დან. ცოდნა შესაფერ მოთხრობებისა და
ხალხურ ზღაპრების შინაარსისა. ამბები ბავ-
შვების ცხოვრებიდან. ბავშვები ოჯახში,
სკოლაში ტბუნებაში. ბუნება და ადამიანი
ქალაქში დი სოფლად წელიწადის სხვა-
დასხვა დროს. თავისუფლად აღწერა მა-
ხლობელს საგნებისა და სურათებისა.
მწყობრად, დალაგებით გაღმოცემა შთა-
ბეჭდილებათა და აზრთა, რომელნიც მო-
წაფეს შეუთვისებია სხვადასხვა გაკვე-
თილზე საუბრის დროს. წაკითხულის და-
სურათება ხატვისა და ძერწის საშუალებით.

კლასს გარეშე წიგნების კითხვა.

2. საუბარი: შესწავლა ახალი საგ-
ნებისა ოჯახისა და სკოლის მახლობლად
მაგ.: ქვები, ლითონები, მანქანობანი,
წელიწადის დრონი, თევები, ადამიანის
სხეული, მისი მოვლა, ტანისაოსი საქ-
მელი, ბინა, ხუთი გრძნობა და ბუნების
მოვლენანი მოკლეთ. ქვეყნის ოთხი მხა-
რე, მდინარე და მისი ნაწილები, ადამიან-
ისთვის სასარგებლო ცხოველები, ფრინ-
ველები, ნწერები, თევზები, ვეშაპი. მღ-
ნე ცხოველები (მხეცები) მუქთახორე-
ბი ანუ პარაზიტები. შხამიანი ცხოველებ-
ბი. მცენარისათვის სასარგებლო და მავნე
ცხოველები, ობობები, კიბობები, კიები.
საკლასო ოთახი და სკოლის ეზო,
აწერილობა თავის სოფლისა, ქალაქისა.
ექსკურსიები მახლობელი შესანიშნავი
ადგილებისა და ისტორიული ნაშთების
დასათვლიერებლად. დასურათება ექს-
კურსის დროს ნახული ადგილებისა და
ყურადსაღებ ნაშთებისა.

3. წერითი საგარჯობები: მოკლე
აწერილობა საგნებისა და სურათებისა.
მოთხრობების მოკლე შინაარსის წერა-
კითხვების საშუალებით. წელიწადის დრო-

თა მოკლე აწერილობა გვემის მიხედვით. ზეპირად ნასწავლი ლექსების წერა. საუბრების მოკლე შინაარსის წერაკითხველის საშუალებით, თავისუფლად, მოკლედ წერა საკუთარის შთაბეჭდილების: ნახულისა, გაგონილისა და შემთხვევისა საკუთარის ცხოვრებიდან. საკუთარი მოკლე მოთხრობების წერა სურათების მიხედვით, მასწავლებლის დაუხმარებლად.

ი ა თ მ ე ტ ა კ ა .

ა) ზიარეკი განყოფილება.

(საანბანო).

1. ყოველმხრივ შესწავლა ოთხი მოქმედებისა სიგნებზე და რიცხვებზე 1—20-მდის.

2. თვლა ერთეულებით, ათეულე-ბით და ოცეულებით 100-მდის.

3. ოთხი მოქმედება ათეულ-ოცეუ-ლებზე (საართმეტიკო ყუთის საშუალებით) და წერა რიცხვებისა 100-მდის.

4. თვალსაჩინოდ შეფარდება ერთ-გვირ სიგნების რაოდენობისა, რიცხვებისა და პასუხი შემდეგ კითხვებზე: რამა დენჯერ მეტი ან ნაკლებია ერთი სიგნის რაოდენობა ანუ რიცხვი მეორეზე.

5. გაყოფა სიგნებისა და რიცხვებისა ნაშთით (17:2=8) (1).

6. ზეპირი სწრაფი ანგარიში ყველა რიცხვებზე ოცის ფარგალში და ათეულ-ოცეულზე, 100-მდის.

7. ადგილობრივი ზომები და საწყაო: სიგრძის ზომა: სანტი, არშინი, ვერსოკი (თვალსაჩინოდ), ფულის ანგარიში.

8. უაღვილესი ტაბების ამოცანების

კოდნა და შედგენა მოწაფეების მიერ მსგავსი ამოცანებისა.

9. გაცნობა ნახევრისა და მეოთხედისა თვალსაჩინოდ.

10. გეომეტრიული გნობები პრაქტიკულად: სწორი ხაზი. სწორი ხაზების შეკრება, გამოკლება, გამრავლება და გაყოფა. სწორი კუთხე. კვადრატის სხვადასხვა კომბინაციები. კვადრატის ნაწილები: კუთხის წვერი, გვერდები და კუთხეები. კვადრატის კუთხეების თანასწორობა მისი გვერდების სიდიდის მიუხედავად და სხ. (ახსნა თვალსაჩინოდ, ბავშვების თვითმოქმედებისა და ხელგამარჯელობის საშუალებით).

ბ) მეორე განყოფილება.

1. ყოველმხრივ შესწავლა ორი მოქმედებისა რიცხვებზე 100მდის.

2. სწრაფი ზეპირი ანგარიში ყოველგვარ რიცხვებზე ასის ფარგალში და ათეულ-ოცეულობით ათასამდის.

3. შეფარდება რიცხვებისა და პასუხი შემდეგ კითხვებზე: რამდენით, ან რამდენჯერ მეტი ან ნაკლებია ერთი რიცხვი მეორეზე.

4. მტკიცედ კოდნა გამრავლების ტაბულისა.

5. ხშირად სახმარი ზომები, ადგილობრივი საწყაო მარცვლეთულობისა. ზომები სიგრძისა (გოჯი, ცდა, მტკაველი); წონის, ქაღალდის და დროს ზომები.

6. მარტივი და რთული სახელწოდებული რიცხვები ასის ფარგალში. ოთხი მოქმედება სახელწოდებულ რიცხვებზე ზეპირად და წერიით ასის ფარგალში.

7. პრაქტიკული ცნობები ნაწევრებზე: ნახევარი, ერთი მეოთხედი, ერთი მესამედი, ერთი მეორედი, სამი მეორედი, შვიდი მეორედი, სამი მეოთხედი, ორი მესამედი თვალსაჩინოდ. მთელი რიცხვის რომლისაზე ნაწილის გამოცნობა. გაყოფა რიცხვებისა ნაწევრების მიღებით (მაგ. $11 : 2 = 5\frac{1}{2}$).

8. ამოცანები ოთხს მოქმედებაზე. მტკიცედ ცოდნა ტიპებად დაყოფილის ამოცანებისა და გაღაწყვეტა არა ნაკლებ 12 ტიპის სხვადასხვა ამოცანისა. მოწაფეების მიერ მსგავსი ამოცანების შედგენა.

9) პრაქტიკულა ცნობები გეოგრაფიკულად: პარალელი ხაზები, ხაზების თვისება, გამკვეთი ხაზი, ტეხილი და მრუდე ხაზი. სწორი კუთხე. კვადრატის გადაკვეთით სამკუთხედების მიღება. ამ სამკუთხედების გვერდების თანასწორობა გეომეტრიის საშუალებით. ამოკრა ფერადი ქაღალდებიდან სამკუთხედებისა და მათი შედარება. შესწავლილ ფიგურებიდან ფერადი სახეების შედგენა. (აქაც ყველაფერი თვალსაჩინოდ კეთდება, ბავშვების თვითმოქმედებისა და ხელგარჯილობის საშუალებით.



გიორგი მის. ლასხიშვილი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი სახალხო განათლების მინისტრი გ. შ. ღიბიალა ქ. ქუთაისში 1888 წელს, დეკემბერში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ

გიმნაზიაში, რომლის კურსი დაასრულა 1888 წელს. გიმნაზიაში კურსის დასრულების შემდეგ ლასხიშვილი შედის ოდესის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგ^ა ამ, რადგან აქ პროფესურა

აზრის საკმარისად დაშავებული, სწავლის სურვილი კი დიდი ჰქონდა, იგი ისმენს ლექციებს საისტორიო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, ამავე დროს ეწეფება თვითგანვითარებას და მსურველ მონაწილეობას ღებულობს სტუდენტთა წრეებში ხან რეფერატების კითხვით, ხან თვით წრეების ხელმძღვანელობით. უნივერსიტეტში იმ ეპოქაზე გამეფებულ სასტიკ რეპრესიების გამო სტუდენტები არეულობას ახდენენ, რასაც შედეგად მოჰყვა დაპატიმრება და უნივერსიტეტიდან დათხოვნა არა ერთი სტუდენტისა, მათ რიცხვში გ. ლასხიშვილსაც, რომელიც დაპატიმრეს, როგორც არეულობის ხელმძღვანელი. აქედან იწყობა გ. ლასხიშვილის დევნა.

პოლტავის, ხარკოვის, როსტოვის, კაეკავის, ქუთაისის, თბილისის ციხეებში ჯდომა და ბოლოს ციმბირში გადასახლება, აი ხვედრი ხალხის ინტერესებისთვის თავდადებული მუშაკის—გ. ლასხიშვილისა.

ლასხიშვილი ცნობილია ქართველ საზოგადოებაში როგორც პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე და გენერგიული მუშაკი.

საქართველოს დემ. რესპუბლიკის პირველმა მინისტრმა კაბინეტის შედგენის დროს გ. ლასხიშვილი მიიწვია სახალხო განათლების მინისტრად.

მ. პ.



შინაური მიმოხილვა.

ბუსეთის დიდი რევოლუციის სახალხო განათლების სფეროში ფართე მასშტაბით შედგა საკითხის გადაჭრის.

ჩვენი უმთავრესი ყურადღება, რა თქმა უნდა, როგორც დღემდე დაბეჭდვულ, დამონებული ერის შვილებისა, უნდა მიექცეს სკოლის ნაციონალიზაციის საკითხს, სკოლის გაეროვნების პრინციპის ცხოვრებაში გატარებას, თუ რა გზით, ან რა ფორმაში უნდა ჩამოყალიბებულიყო ეს დიად მნიშვნელოვანი საქმე.

სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირმა საბოლოოდ გამოსთქვა თავისი აზრი, რომლის თანახმად ყველა სასწავ-

ლო საგნის წარმოება უნდა ყოფილიყო ღვა ენაზე ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლაში, რუსული ენის სწავლება კი, როგორც სახელმწიფო ენისა, და როგორც საგნისა, უნდა ყოფილიყო სავალდებულოდ.

ასეთივე აზრი გამოსთქვა და თავის კაკონ-პროექტშიაც შეიტანა დროებით მთავრობასთან არსებულმა სახელმწიფო, სახალხო განათლების საქმეთა გამგე კომიტეტმა... ამავე აზრს იზიარებდა ჩვენში კავკასიის მასწავლებელთა კავშირიც, რომელმაც წარსული წლის მაისში მომხდარ ყრილობაზე იირჩია ცენტ. ბიურო, ეს ბიურო მთელის თავის შემადგენლობით.

შედიოდა ე. წ. საზღვრუნველო საბჭოში. ამ საბჭოს მიენიჭა თითქმის ერთგვარი საკანონმდებლო უფლება განათლების სფეროში, თუმცა ფაქტიურად აღმზრდელთა საკითხებს გროვებათა მიხედვით ოთხი პირისაგან შემდგარი კომისარიატი სწყვეტდა: ქართველი კომისარი თითქოს ავტონომიურად განაგებდა ქართული სკოლების საქმეს, სომხის, თათარების და რუსების აგრეთვე თავთავიანთის.

ქართველმა კომისარმა შეადგინა ეროვნული პედაგოგიური საბჭო, რომელიც შეუდგა პროგრამების შემუშავებას, აირჩია სხვადასხვა კომისიები და სკდინლობდა ხელი შეეწყო სკოლის გაეროვნების პრინციპის ცხოვრებაში გატარებისათვის...

საბჭოსა და კომისარიატ შორის მოხდა შეტაკება უფლების შენარჩუნების ნიადაგზე, რასაც შედეგად მოჰყვა საბჭოს დაშლა. დაიშალა ქართული ეროვნული პედაგოგიური საბჭოც, რომელმაც თავისი მოვალეობის აღსრულება გადასცა ახლად აღორძინებულ და 19 ნოემბერს დაარსებულს ეროვნული საბჭოს განათლების სექციას. სექციამ განაგრძო თითქოს დაწყებული მუშაობა, მაგრამ ვერ შესძლო იმის გაკეთება, რაც უნდა გაეკეთებინა; რის მიზეზიც, საუბედუროდ, იყო ჩვეულებრივი გულგრილობა საქმეში საბჭოს მიერ ჩაბმულ პირობებისა და უმთავრესად თეიჯ საბჭოს სრული უუფლებლობა. ამივე დროს განაგრძობდა მუშაობას მასწავლებელთა კავშირის შიერ არჩეული კომისია. კომისიამ შემუშავა საბოლოო პროექტი სკოლის ნაციონალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში გატარებისა.

ამ პროექტით სკოლის გაეროვნება უნდა მოხდარიყო თანდათანობით „უმტკინველოდ“, როგორც „პროექტის წინასიტყვაობაშია აღნიშნული, ე. ი. არსებული საშუალო სკოლები უნდა დანაწილებულიყო ეროვნების მიხედვით, მაგრამ არა მასწავლებელ მოწაფეთა გადაჯგუფებით, არამედ საანბნო განყოფილებათა დაარსებით ამა თუ იმ სკოლასთან. ამივე პროექტით ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის გაკვეთილების რიცხვი უნდა თვალსაჩინოდ გამჩაველებულიყო პირველი კლასიდან მკლასამდე.

ეს პროექტი დროებით კანონათქვა: იგი დაადასტურა კომისარიატმა. რადენად ნაყოფიერი აღმოჩნდა ეს კანონი, რადენათ გაამართლა მან სკოლის გაეროვნების პრინციპი და მისი შინაარსი, ეს ყველა ცოტაოდნათ შეგნებული ქართველი მოქალაქისათვის ადვილი წარმოსადგენი და გასათვალისწინებელია. საანბნო განყოფილებათა საქმე ნორმალური გზით ვერ წავიდა. დიდი დრო დასჭირდა მარტო იმას, რომ ხსენებულ განყოფილებებში მოწაფეთა საკმარისი შეკრებულიყო. ამ გარემოებას ხელს უწყობდნენ ერთის მხრით გადაგვარებული მშობლები, რომელთა სურვილზეც იყო დამყარებული ქართულად ესწავლებნათ თავიანთ შვილებისათვის, თუ ისევ რუსულად და, რასაც ვერცხვია, ისინიც რუსულს ამჯობინებდნენ; რუსულს ამდევდნენ უპირატესობას, მეორეს მხრით რუსი მოხელე პედაგოგები, იგივე მასწავლებელთა სათავეში მდგომი დირექტორები, რომე ნიც ჩემ აგრეციას ეწეოდნენ მშობელთა შორის. რუსულ განყოფილებათა უპირატესობის სასარგებ-

ლოდ და აგენტების საშუალებით შესაფერისის შინაარსის თხოვნებს აწერინებდენ.


უფროსს კლესებში ქარაული ენის, ლიტერატურის და ისტორიის გაკვეთილების რიცხვის გამრავლება და ამ საგნების ჯგეროვან ნიადაგზე დაყენება ხომ მხოლოდ ქალაქებზე დარჩა... ქართულ ენას ძველებურად ისევ უკანასკნელი გაკვეთილები ჰქონდა დათმობილი... თავს ისევ ძველის საბუთებით იმართლებდნენ: სხვა საგნებს არ რჩება გაკვეთილების საკმაო რიცხვიო... დღეს კი, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, როცა უკვე არსებობს ჩვენი საკუთარი ეროვნული პოლიტიკური ერთეული, როცა ამ ერთეულს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელი აშვენებს, რა თქმა უნდა, სკოლის გაეროვნებაზე ლაპარაკი უდემეტია. ჩვენ უნდა გვქონდეს სრული, ჯანსაღი სახელმწიფო სკოლა, რომელშიც ყველა საგანი საშობლო,

სახელმწიფო ენაზე უნდა ისწავლებოდეს...

სწორედ ამ გზაზე სდგას დღეს ჩვენი პირველი სახალხო განათლების სამინისტრო, რომელმაც კიდევაც შეიმუშავა შესაფერისი კანონ პროექტი.

ჯერ კიდევ არ დაუყრიათ იარაღი ქვემოთ პოლიტიკანა მოხელე რუს ჰუბეაგოგებს“ და ყოველი ჯურის პროკატორებს და სისტემატიურად განაგრძობენ ჩვეულებრივ აგიტაციას სიტყვით თუ პრესის საშუალებით, სკოლის სრული გაეროვნების წინააღმდეგ, მაგრამ ეს გაიურები მალე მოიღლებიან განგაზით და იარაღს დაჰყრიან, თუ ქართველი პედაგოგები შეერთებული შეხატკბილებული ძალ-ღონით იმოქმედებენ და ნორჩი რესპუბლიკის ნორჩ სახალხო განათლების სამინისტროს მხარს დაუჭერენ.

გ. იბხელი.



როგორი უნდა იყოს სასკოლო ქრისტომატიები

1917 წლის ივლისში ქ. მოსკოვში გაიმართა ქალაქთა და ერობათა კავშირების აღმასრთლებელ ორგანოთა მიერ მოწვეულ გამოჩენილ რუს პედაგოგთა კრება. ამ კრებამ სხვა მრავალ საკითხთა შორის შეიმუშავა შემდეგი კანონ-პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა იქმნას შედგენილი სასკოლო ქრისტომატია:

მარვედა. განახლებულ სკოლის იდეალია: ყოველმხრივი სულიერი და ფიზიკური განვითარება თავისუფალი პიროვნებისა თანახმად აწინდელ საზოგადო პოლიტიკურ მისწრაფებათა.

მეორე. სასკოლო ქრისტომატია საუბრით უნდა აკმაყოფილებდეს სკოლის ასეთს იდეალს.

შესაშე კერძოდ ქრესტომატია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებებს:

ა) უნდა იქმნეს დაცული სრული თანდათანობა ნაცნობ და უცნობ მასალათა შორის, ბ) თანდათანობით გადასვლა მარტივიდან რთულ მასალაზე, გ) მასალა უნდა იყოს დალაგებული კონცენტრიულად, დ) ქრისტიანობის თვითოეული ნაწილი უნდა იყოს დამთავრებული, ე) განყოფილებათა შორის უნდა არსებობდეს მტკიცე კავშირი; ვ) დაცულ უნდა იქნას მარტივი ლიტერატურული ენა, ზ) უნდა მიექცეს ყურადღება თვითოეული სტატიის და მთელი წიგნის სივრცეს, განსაკუთრებით იმას, თუ რაედენად ეთანხმება ადგილობრივ პირობებს. ამისთვის: ა) თვითეული განყოფილება უნდა შეიცავდეს მასალათა სრულ სისტემატიზაციას (ვაწესრიგებას), ბ) ადგილობრივ მოვლენათა განმარტებებს, გ) ადგილობრივ გეოგრაფიულსა და ისტორიულ ცნობათა შესწავლას, დ) ქრესტომატიის ყველა განყოფილებაში უმთავრესი ადგილი უნდა ექიროს ადგილობრივ ხასიათის ლექსებს და სამშობლო მწერლების ნაწარმოებს. გ) ქრესტომატიის ყველა განყოფილებაში უნდა შედიოდეს ცნობები ყოველგვარი შეცნირებათა დარგებიდან.

შეათხე. აწინდელივე ცხოვრების

მოთხოვნებიდან დაგვარად განყოფილებათა რიცხვში შედიან განყოფილებები საზოგადოებრივი და პოლიტიკური.

შეათხე. თუ ადგილობრივ გავრცელებულია რომელიმე დარგი მრეწველობისა, მაგ., მეაზრეშემოება, შედეგინება და სხვა, ქრესტომატიაში აუცილებლად უნდა შედიოდეს ცნობები მრეწველობათა ისეთ გვარ დარგებზე.

შეექვესე. ყველა ზემო აღნიშნულ მოთხოვნებთან თანახმად ქრესტომატიაში მოთავსებული მასალა უნდა იყოს დაყოფილი სამ ჯგუფათ: 1) ადამიანი, 2) ისტორია და ადამიანი, 3) ბუნება და ადამიანი.

ამის გარდა კრებამ მიიღო რა მხედველობაში: 1) რომ სახელხო სკოლები უსახსრობისა გამო სრულაათ მოკლებულნი არიან მუზეუმებს და სხვა თვალსაჩინო სახელმძღვანელოებს, საჭიროა ქრესტომატიაში ფართე ადგილი დაეთმოს ილიუსტრაციას, 2) ყოველგვარ სახელმძღვანელო ქრესტომატიას მტკიცე კავშირი უნდა ქონდეს მასში მოთავსებულ მასალათა შინაარსით იმ სახელმძღვანელოსთან, რომლებიც იხმარება სწავლის პირველი წლების საფეხურზე. წიგნის ბოლოში მოთავსებულ იქნას ზოგიერთი უცნობი სიტყვების აღწხა, ან ცალკე წიგნათ გამოიყენეს.

გ. რ.





† ნიკო^ს ჯანაია.

მიმდინარე წლის აზრილის შირველ რიგებში სოხუმში გარდაიცვალა ნიკო ჯანაია.

ჯანაია იყო ერთი სუკუეთესო სახელსო მასწავლებელთაგანი. ხშიერ-კავკასიის საოსტატო სემინარიაში კურსის დამთავრებისთანავე იგი დაინიშნა სახელსო სკოლის მასწავლებლად გურიაში. ორი წლის შემდეგ არჩეულ იქმნა ქ. შ. წ. კ. გ. ს. სენაკის დაწუებით სკოლის მასწავლებლად.

სენაკებულ სკოლაში განსვენებული მსახურება 1898 წლამდე, ხოლო 1910 წელს გადავიდა ახლად დაარსებულ სოხუმის ქართულ სკოლაში, რომლის შენახვას კისრულობდა ადგილობრივი ქ. შ. წ. კ. განყოფილება. აღნიშნულ სკოლაში დარჩა განსვენებული სიკვდილის დღემდე.

ქართული ენა ნიკომ საოსტატო სემინარიაში შეისწავლა. ქართული ენის შესწავლასთან ერთად იგი განიმსწავლა სამშობლარს სიუჟარულით და ღრმად შეითვისა უტყუარი დებულება, რომ სამშობლოს ვევაება მხოლოდ სწავლა-განათლების სა-

შუალებით შეიძლება, რომ ცივილიზაციის ფერმენტო ელემენტალური განათლება, ხოლო ამის ცხოვრებაში გამოტარებული სახალხო მასწავლებელია... და კიდევაც საქმით დაამტკიცა, თუ როგორ უნდა იმსახუროს სახალხო მასწავლებელმა, რომ ცოტადნად მაინც გამართლეს თავისი დანიშნულება.

განსვენებული უშირველეს ეოფლისა იყო ბეჭითი, მუჟათი მასწავლებელი. როგორც ქართული ენის კარგად მცოდნეს, მას უადვილდებოდა ეველა სატნიის სამშობლო ენაზე სწავლება, მოწაფეებიც ამის გამო სატმაო ცოდნას იხენდენ წ. კ. გ. ს. რეციზორების ანგარიშებში განსვენებულის მოწაფეები საუკეთესო მომზადებულ და განვითარებულ მოწაფეებად არიან მოხსენებული.

განსვენებულს ამოებდა ერთი ფრად შესამჩნევი თვისება: იგი არ იყო გატატებული გამდიდრების სურულით, იგი არ იყო კარიერის მაძიებელი; იგი იყო მშვიდო წინარი მუშაკი. ირეველა სამსახურს იქ-

სადღ საზოგადოებას შეტი დახმარება და ხელმძღვანელობა სჭირდებოდა... როცა 1910 წ. ქ სოხუმში წ. კ. გ. საზ. გან. დაარსდა, რომლის დასრულებასთან სკოლის განსწავლა მოჭევა.

განსვენებულმა ნიკომ სენაკის სკოლაში მიიტოვა, იმისდა მოხუცად, რომ აქ უფრო უზრუნველ უოფილი იყო ნიეთიერად რად და სოხუმში გადავიდა ამ ხნად დაარსებულ სკოლაში. მისი მიზანი იყო ახალი სკოლა შექმნას საფუძველზე დაეყენება და წ. კ. გ. ს. განუოფილების სქემით ნორმალ მსგავლობისთვის ხელი შეეწყო. ნიკომ ეს მიზანი განახორციელა. იგი ჩაება საერთო მუშაობაში დიდის გენერაციით და შეუთხოვინა შეუდგა სკოლას მო-

წუობის საქმეს, ასეთივე ენერგიით მუშაობდა განუოფილების გამკობაშიც, რომლის წევრადაც იყო არჩეული. მისმა აქტიურმა მუშაობამ თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო: განუოფილება ნიეთიერად მოღონიერდა, სკოლამ საკუთარი ბინა გაიჩინა,

განსვენებული თანამშრომლობდა სხვადასხვა უაღვლადიურ განკობებში. სხვათა შორის მის კულ მს გეუფინის შრომა: „Аб-хааский культ и бытъ“, „Религио-ныя върванія абхацевъ“, გამოცემა სამეცნიერო აკადემიისა.

განსვენებულს დარჩა ქვრივი და ერთი ვაჟი, რომელსაც დასრულებული აქვს სწავლა სოხუმის რეალურ სასწავლებლებში.

გ. ბ.



ამს. ნიკო ჯანაშიას სსლონას.

ებლა ამ წუთში ოცნებითა მძიმე სნეული, შენს საფლავს ვუვლი გარშემო, ძმავ, მეგობარო! სულით კვლავ შრთელი, მხოლოდ სუსტი ქანც ფილუელი დაგტირი: მინდა სინანულის ცრემლები ვღვარო.

მსურს ცრემლი ვღვარო შენ საფლავთან, ამ აკლამასთან, სადაც დავშარხეთ სილი აზრი, სპეტაკი გრძნობა, ძლიერი სული, წარფელი გული, ფიქრი და მასთან ჩეენი იმედი, სსლოება და თანაგრძნობა...

ვინ იცის, ძმავ, ჩემთან ერთად რამდენის გული წარფელის ცრემლებით თავს დასტირის შენსა სამარგს?! შენგან აღზრდილი გაწაფული, თვალ ახილული, რამდენი გიგლოვს, როგორც აღმზრდელს, კეთილმოყვარეს?

განისვენევი! არ გიშფოთებ ძილს სამუდამოს ზედმეტი სიტყვით, მეტის მოთქმით, მეტის ლექსითა, ღვეწლმან კეთილმან წყლული გულის და დავიამოს, სახელს კი შენსის ნათელი ჰმოს მოძღვნილი ცითა..

ნ. ზომბელთაძე.



ზალვა ჭარაბაძე.

წარსულ წლის დეკემბერში სოფ. ობჩაში მიწას მიაბარეს ერთი საუბუთესო იდეური წუნარი მუშაკი სახალხო მასწავლებელი შალვა ჭარაბაძე.

განსვენებული თორმეტ წელიწადს ეწეოდა მძიმე უღელს სახალხო განათლების საბოლოოზე. მას კარგათ ქჟონდა გათვალისწინებული, რომ მასწავლებელი ეკუთვნის ხალხს და არა მარტო სკოლას, რომ მასწავლებლის მოღვაწეობა უნდა სწარმოებდეს სკოლის კედლებს გარეშედ—ფართო მასში. დაიწყო თუ არა რუსეთის დიდო რევოლუცია, იგი ჩაება საუბუთესო სარეკო-

ვოლიუტო მუშაობის ფერხულში და, როგორც იდეური სოციალდემოკრატი, განუწმეტლივ მუშაობდა სოფლის მუშათა წრეებში. განსვენებული სოფ. ობჩის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი იყო. სულ მთუ 7 თვის განმავლობაში თავისი პატიოსანი, ერთგული და უნებარო მუშაობით, მან დამსახურა საზოგადოების დიდი სიყვარული და პატივისცემა.

განსვენებულს დანხა ცოლი და ორი მცირე წლოვანი ბავშვი.

X.



უცხოეთი

ჩეხია ანუ ბოჰემია. სწავლა-განათლება. სკოლება და მთი წესწყობილება. ამოს კომუნიუ-
სი. ღ—ჩი რიკერი და ჩეხელი ინტელიგენცია.

პატარა სამთავრო ჩეხია ანუ ბოჰემია, რომელიც ავსტრო-უნგრეთის სახელმწიფოს საზღვრებშია მოქცეული, ადგილმდებარეობით ძლიერ წააგავს საქართველოს. ჩეხიაჲ, როგორც საქართველო, შემოზღუდულია მაღალის მთებით, ირწყვება მდ. ელბითა მისი შენაკადებით—იზერიტთ, მოლდავიტთა და ეგერიტთ. ჩეხია, როგორც საქართველო, სამეურნეო ქვეყანა, მცხოვრებთა 83 პროც. ჩეხელები შეადგენენ, ხოლო 37 პროც. გერმანელები. მთელს ჩეხიაში სამი უნივერსიტეტი. 80 საშუალო სკოლა და 5.200 დაბალი სკოლა.

პატარა ჩეხია, თვითონ ჩეხელებისვე აზრით, ავსტრო-უნგრეთის სახელმწიფოში ძვირფას მარგალიტს წარმოადგენს. ამ აზრს იზიარებს ყველა, ვისაც კი ეს პატარა ქვეყანა დაუთვალეირებია და გაუცვნიო ამ ერის სასკოლო და საეულტურო საქმეები. მართლაც ჩეხებს მშვენივრად მოწყობილი სკოლები აქვთ და კიდევ თამამად შეუძლიათ იამაყონ ამ სკოლებითა.

ჩეხების სკოლის იდეურ დამაარსებელად უნდა აღვიაროთ „კაცობრიობის დიდებული მოძღვარი“ ამოს კომენიუსი, მაგრამ ჩეხელთა განათლების აყვავების ხანა იწყება მარია ტერეზას დროიდან (1717—1780), როცა განსაკუთრებული ყურადღება იქნა მიქცეული მეურნეობისა და სახალხო განათლე-

ბაზე. უხერხულმა ომებმა დააფიქრა ჩეხელების მთავრობა, საჭიროდ სცნეს და აღასრულეს კიდევ—ს ოლა ეკლესიის და მის გაუღენას ჩამოაშორეს და მთელი სახალხო კან,თლების საქმე სახელმწიფოსა და მის ორგანოების ხელში გადავიდა. სახელმწიფომ დაარსა ადგილობრივი ოლქისა და ერობათა სასკოლო გამგებლობა, რომელშიაც შედიოდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა, მასწავლებელთა და სასულიერო პირთა წარმომადგენლები.

განათლება ჩეხიაში სავალდებულოა. ყველა პატარა სოფელიც კი ვალდებულია სკოლა დაიარსოს. მასწავლებელთა ჯამაგირს და პენსიას იხდის ოლქი ერობის დიხმარებით. სახელმწიფო თავის ხარჯით მხოლოდ სკოლების მეფინანსურეობას უწყევს.

სახალხო სკოლა ჩეხიაში რვა წლის კურს შეიცავს და ორი საფეხური აქვს. პირველია ნორმალური სკოლა ხუთ წლიანი, რომლიდანაც მოწაფენი გადადიან სამ წლიან საქალაქო სკოლაში. ნორმალურსა და ქალაქის სკოლებში ასწავლიან: საღეთა სჯულს, ჩეხურ ენას, არითმეტიკას, ფიზიკას, ბუნების მეტყველებას, გეოგრაფიას, ისტორიას, ხატვას, გალობას და გიმნასტიკას. ქალებს ამაგებს გარდა ხელსაქმესაც ასწავლიან. ამ საგნების შესწავლა ყველასთვის სავალდებულოა, მაგრამ არა სავალდებულო.

საგნებიც არის, მაგალ. გერმანული ენა ნორმალურს სკოლაში და ფრანგული ენა და სტენოგრაფია ქალაქის სკოლებში. კანონით ყოველ ოლქში უნდა იყოს ერთი მაინც ქალაქის სკოლა, ნამდვილად კი მეტია, რადგანაც სახალხო განათლებას ჩეხიაში დიდათ აფასებენ.

სოფლებში ქალებსა და ვაჟებს ერთად ასწავლიან, ქალაქებში კი ცალცალკე სკოლის უფროსი დირექტორია, მაშაკაცი როგორც ქალების, ისე ვაჟების სკოლებშიაც, ქალებს კი ამ თანამდებობაზე იშვიათად ამწესებენ.

სახალხო სკოლის მასწავლებელს ჩეხიაში უსათუოდ სპეციალური განათლება უნდა ჰქონდეს მიღებული, იქაური საოსტატო სემინარიები მართლა ჩინებულად მომზადებულ მასწავლებლებს იძლევიან. საოსტატო სემინარიაში შედიან მოწაფეები, რომელთაც დამთავრებული აქვთ ქალაქის სკოლები, ან საშუალო სკოლის ოთხი კლასი, ანუ საშუალო სკოლა, მაგრამ ყველასთვის სავალდებულოა განსაზღვრულ პროგრამით გამოცდები ჩაებაროს. საოსტატო სემინარიის მთავრობა ინახავს, იგი ოთხი წლის კურსს შეიცავს. სემინარიაში კურსდასრულების შემდეგ კაცი იქნება თუ ქალი პირდაპირ არ ამტკიცებენ მასწავლებლად, ჯერ ორი წელიწადი კანდიდატად ითვლება და მასწავლებლის თანამდებობაზე ამტკიცებენ მხოლოდ ორის წლის შემდეგ და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ამ დროს განმავლობაში კარგი სახელიც მოუპოვებია. ვისაც ქალაქის სკოლის მასწავლებლობა უნდა, სემინარიაში კურს დამთავრების შემდეგ აბარებს ცალკე გამოცდას განსაკუთრებული პროგრამით. ცალკე მასწავლებელი, რომელიც

უნდა ამზადებდეს ადალი საუბურის სახ. სკოლის მასწავლებელს არ არსებობს. ჩეხიაში მასწავლებელს შესაფერი და საკმაო განათლება აქვს მიღებული, გარდა ამისა მასწავლებელიც ყოველთვის ცდილობს თავისი ცოდნა შეავსოს, ლექციებს, რომელსაც იქაური უნივერსიტეტის პროფესორები ჰმართავენ, მასწავლებლები ხშირად და დიდის ხალისითაც ისმენენ.

როცა ჩეხიაში მასწავლებელთაგან საფუძვლიანსა და საკმაო მტკიცებულ მომზადებას მოითხოვენ, იმავე დროს მათ შრომასაც შესაფერად აფასებენ. ორთა შუა რიცხვით ჩეხიაში მასწავლებლის ჯამაგირს 1600 კრონი შეადგენს (615 მან.) და ყოველ ხუთი წლის შემდეგ 200 კრონის (80 მ.) დმატებით. რასაკვირველია ეს რიცხვი იმ დროინდელია, როცა ჩვენში სახალხო მასწავლებელი საშუალოდ 300 მ. იღებდა წლიურად.

ჩეხიის მასწავლებელთა უმრავლესობა წევრია ძლიერის ორგანიზაციისა „მასწავლებელთა საზოგადოების საერობო ცენტრალ კავშირისა“. ამ კავშირის მიზანი ზრუნვა თავის წევრთა სულიერისა და ნიეთერ მოთხოვნილებათა დამკვირვებაზე, კავშირს აქვს შემნახველი კასა, წიგნის მაღაზია, სწარმოებს სიცოცხლის დაზღვევას, იგივე კავშირი ბეჭდავს და ავრცელებს საბეუაროგოიო ჟურნალს: „ჩეხიის მასწავლებელს“, „ჩეხის სკოლას“ და ჩვენის სოფლის სკოლას“.

ჩეხელის დიდებულ ორგანიზაციის, მათ სიმაყეს „ცენტრალური სასკოლო მატრია“ შეადგენს. ეს ორგანიზაცია დიდათ ზრუნავს ჩეხელთა შორის განათლების გავრცელებაზე და სამშობლო ქვეყნის კულტურულად აყვავებაზე. ბევრი სკოლაა ამ ორგანიზაციის მიერ

დაარსებული განსაკუთრებით ზერეულ მცხოვრებთა შორის. დაახლოებით ასე იგი მიზანს ახორციელებს ჩეხის მეორე საზოგადოება „კულტურული კავშირი“. ჩეხიაში, როცა სკოლებს ათვლიდრებთ, ხშირად შევადგებით მრავალს საკმაოდ მომზადებულს, საქმის მოყვარულსა და ბავშვების კარგს მომვლელ მუშაკებს, როგორც კაცებში, ისე ქალებშიც. ყველაგან ატყობთ შეთანხმებულ მუშაობას და ამ მუშაობის თვალსაჩინო ნაყოფსაც.

ჩეხიაში, ქ. პრაგაში სასაფლაოზე მრავალ ძეგლთა შორის არის ჩეხელეზისათვის ყველაზე უფრო ძვირფასი სასაფლაოს ქვა, რომელსაც ამშვენებს შეშანიშნავი შინაარსის წარწერა: *prae a v. ad ni s: et n. sa sp seui* (შრომაში და ცოდნაშია ჩვენი ხსნა). ეს სიტყვები საჩუღამოდ სახსოვრად არის წარწერილი ამ იდეის ნებურვალე მქადაგებლისა და ერის წინამძღოლ მამულიშვილის დარ რიგერის საფლავის ქვაზედ.

თითქმის სამოცმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ეს შეგუღარებელი მამულიშვილი მქუხარე ხმით იწვივდა ხალხს შრომისა და ცოდნისკენ. მართლაც სიბნელით მოცული, გძვალტყავე ბული, პოლიტიკურისა და კლასობრივი ბოძოლით დაქანცული ჩეხია ამ იდეის წყალობით ჩვეს დროში ნამდვილ საზოხებდ არის გედაქ იეული. ამის მიზეზია სკოლა, რომელც მამულიშვილურ იდეის დანერგვას ხალხში მუღამ ხელს უწყობდა და უწყობს კადეც და ასეთის სკოლით დღეს სამართლიანად ამყობს ყოველი ჩეხელი მოქალაქე.

სკოლისა და სკოლაში სწავლა-აღზრდის პრაქტიკულ ნიაღვრე მოწყობით, შეიქმნა ისეთი ტიპი, ჩეხელ სოფელ

მეურნისა და უჩიცხვი კოოპერატივისა, რომელთაც სკლის სიმკაცეს წყალობით ნამდვილი ბედნიერება მიეიქმნათ ჩეხელ გლეხობს. ჩეხელი სკოლა გულში უნერგავს ყვილა მოწაფეს თავის სამშობლო-სიყვარულს და ეს მხურვალე სიყვარული შეიქმნა მამოძრავებელი, გამომღებნიშლებული და ამყვავებელი ძალად მცირე რიცხოვანის, მაგრამ სულით ძლიერ ერისა.

სანამ ერთ სერთოდ არ შეეგნებს, რომ მისი ხსნა და მომავლი ბედი შრომაში და ცოდნაშია, მანამდის იგი ყოველთვის უძღვრია და უიმისოდ ვერც დაადგება კმაყოფილებისა და ბედნიერების გზას. შრომისადმი, სიყვარულით ცოდნის შეძენის აუცილებელი საქარება ხ.ზ ვასით არის გატარებული ჩეხის სკოლებში, რომელსაც ოჯახიც, კერძო და საზოგადოებრივი ცხოვრებაც ბანს აძლევენ.

ჩეხელთა ოჯახი და სკოლა იზს კი არ ცდილობენ, რომ მოწუფებიდან განსაკუთრებული რამ შეიქმნან, არამედ მათი უშოავრე მიზნია გლეხთა ცხოვრების აზრიანად გაფართოება, ამის მიხედვით ჩეხელი გლეხი პარველ ყოვლისა დამოუკიდებელია, თვითმყოფი; იგი სხვის იმეღზე არ ეწყარება, არც საწაულს და არც სკოლას ვი ვანმე არ მოეღის; ყოველგვარ შევლა-დახმარებას იგი თა ის თავში ეჭებს და იქვე პოულობს, მთ მიერ შექნილ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში პოულობენ სკოცხლის ყოველ წუთში საქრო დახმარებას.

არა ნაკლები ყურადღების ღირსია ჩეხელი ინტელიგენციაც, იგი აღფრთოვანებულია ხალხისადმი სამსახურით, მოკლებულია ყოველგვარ ბატონურ დაუ-

კაცობას, მედიდურობას, იგი მხოლოდ ხალხისთვის ცხოვრობს, არც უცდის ვიღაც ხალხი მის ცხოვრებაზე შეხედულობაჲდის და ცნებაჲდის ამაღლდებოდეს. არამედ პირველი უწოდებს ხელს იმ წრეს, საიდაჲც თეთონ გამოსულა.

ასეთია საერთოდ სასკოლო საქმეები ჩ.ხიაში და რომ კარგად ჩაუკვირდეთ, ჩვენი ქვეყანა და ინტელიგენცია ჩუხთა ცხოვრებაში ბევრს საგულისხმეო მოგალითს იპოვის.

შორს არ ირის ის ღრო, რომ ჩვენ-

ში ზარბაზნის გილი, გუთნის დედის სამშვიდობო სიმღერად შეეცვლება. ძველებურ ქართულ ჭანგებს, რომელშიც მხოლოდ მწუხარება იხატებოდა, ახალ ცხოვრების შესფერი სამხიარულო ჭანგებიც დაემატება, რომელიც მოუწოდებს ხალხსა და ინტელიგენციას საერთო მხნე მუშაობისა და ცოდნის შეძენისკენ, ქარაველი ერის ძლიერი ჩწმენისა და შემოქმედებისკენ. დეე, დვიზი—შრომისა და ცოდნაშია ხსნაო, გახდეს შეურყეველ დევიზად ჩვენთვისაც.

დ. ბაგვაძე.



ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა .

მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველებისა არა ირგანიუფი ბუნება, პაერო, წყალი და დედა-პიწა, შედგენილი მ. ზაალიშვილისაგან, ნაწ. პირველი, გამოცემა თ. მთავარიშვილისა და ამხ ნაგობის წიგნის მელაზიისა. ქ. ქუთაისი 1917 წ. ფ. 2 მ.

ყოველი სახელმძღვანელო წიგნი, რომელიც ემსახურება ამა თუ იმ მეცნიერების დარგის შესწავლას სკოლაში, აუცილებლად აწინდელი მეცნიერების მიხედვით, მარტივად, ადვილ გასაგებად, თვალსაჩინოდ და მოწაფის გონებისადმი ძალდაუტანებლად უნდა იქმნეს შედგენილი; ენაც სახელმძღვანელო წიგნისა უსათუოდ ჰადა, ამა თუ იმ მოწაფის წლოვანების - შესაფერი, წმინდა, ფაქიზი, მრავალ სიტყუაობას მოკლებული, მკაფიოდ აზრის გამოხატველი და გრამატიკულათაც სწორი უნდა იყოს. ყოვე-

ლი ცნების გამოხატველი ახალი სიტყვა, ახალი ტერმინი სინამდვილით უნდა ჰხატავდეს ამა თუ იმ ცნებას, ასეთი მოკლე სახელმძღვანელო, რომელიც დანიშნულია 11—12 წლის მოწაფეთათვის, როგელთაც განყენებულად აზროვნება არ შეუძლიათ, თვედაპირველად მხოლოდ კონკრეტიულს, თვალსაჩინო და ადვილად წარმოსადგენ მასალას უნდა შეიცავდეს და არ შეიძლება აეავსოთ ყოველგვარ ცნობებით, რომლის შესწავლა და ერთბაშად მიწელება ბავშვის გონებას გაუჭირდება და მეცნიერებასაც მძიმე ტვირთად დაწე ბა. ამიტომ, როცა ბავშვს პირველად რომელსაზე საგნის შესახებ ვესაუბრებთ, მადეელობაში უნდა გვქონდეს იმ საგნის არეზითი მხარეებსა გაცნობა და არ უნდა გავცოტაცოს წვიოდ მანობამ, რომელსაც შეუძლია საგნის არსებითი მხარეების. დარბ-

დილეა, რასაც, რასაკვირველია, არა სასურველი საგნის ზერელე შეთვისება მოჰყვება. ბავშვის გინება და მგესიერება ისეთი კურქელი არ არის, რომლის ავსებაც ყველაფრით შეიძლებოდეს. პირიქით ეს კურქელი ძლიერ კირკულია, იშვიათად სტოკებს შიგ იმას, რაც შეუფერებელია, ან იღვრება უთავბოლოდ, ან ძირს დაილექება, მძაღლება და კურქელსაც აშშორებს. ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ბავშვს უღროოდ და უწესრიგოდ არა მივაწოდოთ რა, რასაც მისი გონება და ფსიხოლოგია ვერ ურიგდება.

ამ თვალსაზრისით რომ შევხედოთ ბ.ნი მ. ზაალიშვილის საბუნებისმეტყველო მოკლე სახელმძღვანელოს, დავინახავთ მრავალ თვალსაზრის შეცდომას, რაც საზოგადო მოვლენას შედგენს ჩვენში. პირველყოფისა აღსანიშნავია წიგნის ენა, რომელიც რუსულად ნაფიქრისა და უხეირო თარგმანს უფრო შეიცავს, ვიდრე ქართულს ნააზრევს, ქართულად მოფიქრებულს, წმინდა ქართულს. ამის გამო საკვირველი არ არის, რომ ზოგიერთი აზრი, აქა იქ წიგნში გაფანტული, რუსულად მოფიქრებული, მეტისმეტად ბუნდოვანად და ბავშვისთვის გაუგებრად გამოდის, მაგალ. „მცენარე ფოთლებით სუნთქავს, ფ სეებით საზრდოს ნთქავს (გვ. 6) სიტყვა ნთქავს—პირდაპირ თარგმანია—*присасывает*; ნთქა ქართულად ყლაპავს ც და დაღუპავსაც ნიშნავს; ქართული კი იტყვის: მცენარე მიწიდან ფ სევებით სწოვს, სწუწნისო და ეს შესაფეროც არის; ჩვენ გვაქვს თვალები, ყურები“ (გვ. 6) ესეც წმინდა რუსულია, როგორც „თვალები ველარ ხედვენ, ყურე-

ბი ველარ ისმენენ“ (იქვე) „ონც ბუნების საგნებს არ იცნობს, იგი ბუნებაში თვალ დახუჭული დადის, იგი იტყობს და ვერ ხედავს; გარს ზღლის ბევრჯელ ძვირფას ბუნების საგანს (თუ ბუნების ძვირფას საგანს?), მაგრამ ფუქ კაკალაც არ მიაჩნია მას ეს ძვირფასი საგანი, მას ის ემართება, რაც მამალს, რომელმაც მაგალიტი იპოვნა, მაგრამ ფასი კი არ იცოდა“ (გვ. 7). გადათარგმნეთ სიტყვა სიტყვით და დინამიკით რამდენი რუსიციზმია ამ წინადადებაში. ვისაც ქართული ენის ძლიერ აქვს აღებული, ადვილად შეატყობს, რა ტარგმანის განიცდის ქართული ნაცვალ-სახელი ჯერ ზმნებში და მერე ცალკე ხმარებით. როცა ჰაერი სწრაფთა შირბის, ხეებს ტოტებს უტურევს და მტვერს მიაბრუნებებს (?), მაშინ იტყვიან პოლმე: ქარიშხალი ამოვარდაო“ (გვ. 8). ქარიშხალი არის ქარაანი წვიმა, ამიტომ ქარიშხალი რომ მტვერს მიაბრუნებდეს, არავის უნახავს, არც გაუკონია. „ბუმბული მაგიდისა დადმოცვივა“ (გვ. 8, 9). ეს „ბუმბული“ კორექტურული შეცდომა გვეგონა ბუმბულის ნაცვალად, მაგრამ რაკი ხშირად იხმარება, შეცდომაა. „ჩვენ ჰაერი მოძრაობაში მოკუყვანეთ, ჰერმა მოძრაობაში მოიყვანა ქალღმერთი ნაჭრები, როცა ჩვენი ქალები მარაოს ამოძრავებენ, ხელოვნურ სასიამოვნო ნიათს აჩენენ“ (გვ. 9). უკანასკნელი წინადადება ბის გარდა, ყველა რუსულია—*привели воздух в движение*. მაგრამ რაღა ჩვენი ქალები აჩენენ ხელოვნურად სასიამოვნო ნიათს და სხეები არა წინადადება უხარბულია და სიტყვა „ჩვენის“ ზედჭრება. „შემდეგ ჩაეახათ მერე კიკი, ესრე მოეჭკეთ, ვიდრე მგზუ-

თე ქიჯის ჩეხესამთ* (გვ. 23). ეს ატ რუსულია, არა ქართული, წყლის დეინის. ან რაიმე სიხის ჩასხმა გავიგონია, მაგრამ ქიჯ ჩასხმა არც ერთის ენით არ ითქმის. შეიძლება ქართული ენის სისულტის ნიშნები სხვა ბევრი ამოგვეწერა. მაგრამ წარღვის სიღრმე გვაჩვენებს.

ახლა გაიღოთ ბუნების კარი და შეეხედეთ მს სიღრმეში, პირველი სხეული, რომელიც აქ უქველად დაგხედება, არის ჰაერი (გვ. 8). დიდი გულამისნობაა საქირო, რომ ბუნების თუნდაც სიღრმეში ბავშვმა პირველ ყოვლისა ჰაერი შენიშნოს და არა სხვა უფრო თვალსაჩინო, კონკრეტიული სხეულები. „პერა ბერძნულია სიტყვა. ბერძნულ ენაზე ამ სიტყვა ისეთივე მნიშვნელობა აქვს, რაც ქართულად“ (გვ. 7). რა საქიროა აქ ბერძნული სიტყვა და მსი მნიშვნელობა. ეს ისეთი ბერძნული წერილობაა, რომელიც ბავშვს ვერაფერს უხდის. „როცა ჰაერი სუფთა არ არის, ჰაერში მოიპოვება ნახშირბატი, ამიერი, გოგირდიანი წყალბადი, ოზონი, აგონი, მტერი, ბაქტერიები და სხ.“ (გვ. 42), ოზონიანი ჰაერი სუფთად მიანისთ, რადგანც ოზონი ბაქტერიებსა მხოცავს; აგონიც თვისებით ძლიერ უახლოვდება აზოტს, მაგრამ რას შექმნის ბავშვს მარტო სახელები, თუ მის თვისებებს ვერ გაეცნობთ, თვალსაჩინოდ ვერ დანახვებთ, როცა მათი შეგნება ქიმიის საკმაო ცოდნის თხოვლობს და მოწყობისათვისაც მხოლოდ უმინარისო სიტყვებზე და რჩება, გაუგებარი იქნება, როგორც ლავუაზის რუსული ცდა, რომელსაც ვერც მასწავლებელი უჩვენებს, რადგანც ასეთ ცდას ვერცხლის წყლის თბობა

12 დღე და ღამეში უნდა (გვ. 13). იგივე სჩნს, როცა წიგნის ავტორი მინერალების აწერილობას ეხება (გვ. 84). აქ ბავშვი უცხო სიტყვებით აქრელუბულს იმდენ მინერალებს და მათ ქიმიურ შეერთებას ეხება, რომ მეტათ მწელია მათი შეგნებით შეთვისება 11—12 წლის ბავშვისათვის. მარტო უცხო უმინარისო სიტყვები: „ნორტი, ორტოკლავი, ალბიტი, ალიუმენი, კრემნი, იდულიარი, ლობადორი, გრანიტი, გენისი, ბრიკიტი, ნატრი, კალცი“ და სხვა პირდაპირ გამოთვინებს ბავშვებს. ტერმინებსაც ბნი ზაალიშვილი არეულად ხმარობს. ზოგი მისი ტერმინი პირდაპირ რუსულია: „რეტორტა (ამას ჩუბინაშვილი და დ. ყოფიანი ამბუხს ეძახიან), კრმენტვილი (კრემნი კვის მაგირი), კოლჩედანიო, ან პირდაპირ თარგმის — ქართულ მკადა ქვასაც „ქვიშიანს“ უწოდებს ე. ი. песчанякъ ს. გბრადო სიტყვას საქართველოს სახელმძღვანელოში „ფორტოჩკად“ ხმარობს „დილით ფორტოკა უნდა გაიღოს“ (გვ. 51).

ძნელია და სახიფათო, როცა სახელმძღვანელოს ავტორს თავის წიგნში უმთავრესად ერთ — სამეცნიერო დარგს ეხება და იმვე დროს სხვა ისეთ დარგშიც ამოჰყოფს თავს, რომელშიც საკმაო ცოდნას ვერ იჩენს. ჩვენ გვეძმის ურთიერთობა მეცნიერების სხვადასხვა დარგთა შორის, მაგრამ როცა ბავშვი მეცნიერების რომელსავე დარგს ახლად სწავლობს, ძნელია ყოველ დარგთან გადასვით ცოდნა და უფრო ძნელია და შეუფერებელი თუ ამ თუ იმ ცოდნას გასაგებად და და მარტივად არ აწვდინდა თან მეცნიერულ სიყალბესაც მიაყოლებენ ხოლმე. ეს ნათლად სჩანს ბნი

მ. ზაალიშვილის წიგნი. როცა ავტორი ქიმიის შესახებ ლაპარაკობს, ჰაგიენასაც არ ბეიწყებს, მაგრამ აირას ვითხულობთ, სხვათა შორის, ხოლერის შესახებაც: „მერე ბლომად არის ამ ავადმყოფობის ბაქტერიები და ჩვენ თუ ან ეოსუნობებთ ამ ჰაერს, ან შეაგებთ ხელით ან ტანით ავადმყოფების ტანსაცმელს, ან საბანს, ან ყოველსავე მას, რასაც ავადმყოფი მიჯარება, შეიძლება ავადმყოფის სენი ჩვენც გადაგვდოს“ (გვ. 82) ეს რაღაც ახალი აღმოჩენაა მედიცინაში, იგი სრულიად აქარწყლებს 1833 წლიდან კობის მიერ აღმოჩენილ ხოლერის ბაცილების თვისებას, რომელიც ადამიანის სხეულში კობისავე აზრობთ ჰკრით და შეხებით კი არ მზუყვება, არამედ საქმლისა და სასმლის საშუალებით საზოგადოებ უნდა ვსთქვათ; რომ უბრველეს ყოფილია აუცილებლად საჭიროა მეცნიერების ყოველ დარგთან შემღწევა ბა ისეთის პროცაში, რომელი თაც უნდა იწვევდობდეს ესა თუ ის დარგი, ამა თუ იმ კლასში; შემდეგ იმ პროცაში მთხედით უნდა შედგინო იქმნეს სახელმძღვანელო წიგნი. ბ-ნი ზაალიშვილის „მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველები“¹, თუცა იგი შიგა და შიგ ღირსებას მოკლებულიც არ არის, მაგრამ, როგორც სახელმძღვანელო ბავშვებისათვის, ჯერჯერობით სუსტია და არ გამოადგება. თუ პოწფე მას ვერ გამოიყენებს, ეს წიგნი მანკალებლისთვის უმნიშვნელო არ იქნება, როგორც სწავლების დროს ხელსაწყო, რასაც ძლიერ მოკლებულნი ვართ. ბ-ნი მ. ზაალიშვილის ხენებულ წიგნს კი რომ ბეწვეებისთვის სახელმძღვანელო გახდეს, დიდი შესწორება, და ბასრი შალაშინი დასკირდება.

რატე.

აღგებრა გ. ზ. ეიფანისა, გამომცემა „განსალები“ ამს ქუთაისი 1917 წ.
სკოლების სრული ნაციონალიზაცია აუცილებლივ მოითხოვს ქარაული სახელმძღვანელოების ხკმარის რიცხვს და

ამიტომ ყოველი პედაგოგის აზრი და გონება სწორეთ აქეთვენ უნდა იყოს მიმართული.
უნდა შევნიშნოთ და ვსთქვათ, როგორც საზოგადოებ, ისე აქაც, ე. ი. სახელმძღვანელოების შედგენის დროს, ჩვენ უტკველად უნდა მოვერიდოთ მეტ უშინაბასო მუშაობას, რადგან დრო ისეც ცოტა გვაქვს და ამიტომ სასწველი იქნებოდა, რომ ეს დრო და ენერგია ქარაველი მოღვაწისა ტყულიათ არ იხარჯებოდეს.
მე მინდა ვსთქვა ორიოდ სიტყვა ბ-ნი ვ. რ. ყუფინის მიერ შედგენილ ალგებრის შესახებ, რომელიც ამ დღეებში ქუთაისში გამოიცა ჯერ უნდა მოგახსენოთ, რომ სწამ წიგნთ ხელომერეთ გამოიცემოდეს, შე მგონია, საზოგადო წესია, რომ ის გადათვლიერებულ უნდა იქმნას ან თვით ავტორის მიერ, თუ ავტორი კორტულობს მის გამოცემას, ან არა და იმ პირის მიერ, რომელიც მას ღებულბს თავის თავზე და მამასადამე ახლო გამოცემაში შესათერი შესწორება ი უნდა იქმნას შეუთანლი.
აი, სწორეთ, ასეთი სისტემით წიგნების გამოცემაში ვხრდავთ ჩვენ ერთნაირ წინსვლას, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელმეორედ გამოცემას თავისი ნიშნელობა ეყარება, რასაკვირველია, შეიძლება ეს გამოცემაც ბერეი გასაღდეს, რადგან, სვეტილური სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე, საწუხაროდ, ძალიან ცოტა მოგვეპოვება, მაგრამ სასურველი იქნებოდა, რომ ამ წიგნის გამოცემათ გადათვლიერებით ეს სახელმძღვანელოები სვეტილურ კომისიებში და ისე ცოტაოდენი შესწორებით გამოეცათ. ჩვენ კი ამა ვერ ვხედავთ: ახალი გამოცემა სრული იგივეობა 1895 წლის გამოცემისა. ჩემის აზრით საჭირო იყო შესწორება, როგორც ენის მხრივ, რადგან ველ გამოცემაში ენა მეტათ მიძივა და აგრეთვე თვითონ შინაარსის მხრივთაც. უნდა მოგახსენოთ, რომ ახალი სახელმძღვანელოები, რაც შეიძლება, უნდა

იყოს მეტათ მარტივი და მსუბუქი ენით დაწერილი, პერიოდულ წინადადებებს მოკლებული, რადგან ნუ დაგვაიწყებდა, რომ ახლათ ვიწყებთ სწავლას ქაჩა თულ ენაზე და ამიტომ როგორც მსწავლებელთ, ისე მოწაფეებსაც ძალიან უჭირდებათ სხვადასხვა რთული წინადადებით გამოთქმული ფორმულებისა და წესების დამახსოვრება. რაც შეეხება შინაარსს, როგორც ძველს ისე ახალ გამოცემაში შეიძლება ბევრი ადგილების შემოკლება საერთო პროგრამის მიხედვით. (მე, რასაკვირველია, ამ წერილში მიზნათ არა მაქვს დეტალურათ შევებო ამ წიგნს.

ჩემის აზრით ბ.ნ. ვ. რ. ყუფიანის მიერ შედგენილი ალგებრა დიდ სამახსოვრს გაუწევს თვით მასწავლებელთ, რომელნიც დამუშავებენ ვაკევილის და ისე მიაწვდიან მოწაფეთ. მხოლოდ, როგორც მოწაფეთათვის სახარებელი სახელმძღვანელო შეუსწორებლივ მეტათ რთულია. მ.წ. გრ. ლაშთაიფანაძე.

თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების მასწავლებელთა საეკრავდელებათ.

იმ შეკითხვების გამო, რომელიც მოსდის თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების მასწავლებელთა კავშირის მთავარ გამგეობას მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობის და ხეიდრი ჯამგირების თავის დროზე მიღების საქმის მოწესრიგების შესახებ, მთავარი გამგეობა კავშირის ფილიალ განყოფილებათა საყურადღებოთ აცხადებს შემდეგს:

1) ს.ხალხო განათლების მინისტრმა წარუდგინა საქართველოს ეროვნულ საბჭოს მოხსენება მასწავლებელთა ღირსიერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, ამ მოხსენების თანახმად სსხალხო სკოლის მასწავლებელს უნდა მიემატოს თვეში 11 მ., რაი არსებულ ჯამგირთან შედგენს 325 მანკთს თვეში. მინი-

სტრის მოხსენება განიხილა ეროვნული საბჭოს სასკოლო კომისიამ და დღესანდელი საშენილი სიძვირის გამო მინისტრის მოხსენებაში ნაივარაუდები წარაა 325 მ. აიყვანა 400 მან თამდე თვეში. სასკოლო სექციის დადგენილება ამ დღებში მოხენდება საბჭოს, რომელიც ექვი არ უნდა, დამტკიცებს სექციის დადგენლებას.

2) რიცკა შეეხება მასწავლებელთ მიერ ჯამგირების თავის დროზე მიღების საკითხის მოწესრიგებას, მე და სიღნაღის ფილიალ განყოფილების თავმჯდომარემ ნიკოლოზ ყაზბეგმა პირადად ვინახულეთ განათლების მინისტრის ამხანაგი, რომელსაც წარუდგინეთ ამის და სხვა მრავალი სკოლის გასაუმჯობესებლად საკითხო კითხვების შესახებ ვრცელი წერილობითი მოხსენება. მინისტრის ამხანაგმა გულდამით მოიხმინა ჩვენი სიტყვიერი განმარტებაც წერილობითი მოხსენების შესახებ და აღგვითქვა დააკმაყოფილოს მოხსენებაში იღნიშნული ყველა მოთხოვნილება.

3) საბჭოს დადგენილება აღნიშნული საკითხების შესახებ და სსმინისტროს მიერ გადადგმული ნაბიჯები თავის დროზე ეუწყება მასწავლებლებს.

კავშირის მთავარი გამგეობის თავმჯდომარე გ ბურჯანაძე.

საქართველოს ეროვნ. საბჭოს.

მოსწავლება სქრთველას რესპუბლიკის სსხალხო სკოლეს მსწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

დღეს ყვრისათვის ცხადია, რომ ხალხის განათლება ერთი უძლიერესი ფაქტორია ხალხის ცხოვრების და სიმდიდრის განვითარებისთვის. შრომის ინტენსიობა დამოკლებულია მკუწის ხელოვნებაზე, რომელიც თავის მხრით იმის გონეზრივ განვითარებისგან წარმოსდგება და საერთო განათლების ხარისხით, ტრენიკული მომზადებით განისაზღვრება. ამიტომაც მოწინავე ქვიყნები დიდ სიუხვეს იჩენენ ხალხის განათლების საქმეში: მათ

თავის საბიუჯეტო პოლიტიკაში კანონად გადაქცივის ის დებულება, რომ ხალხის განათლებისათვის თვითოული ზედმეტად დახარჯული კაპიტი, უსათუოდ იმავე ხალხს მანეთს მოუტანს. ამ გზით მოწინავე ქვეყნებმა მუშათა კლასები მეტ ინტენსიურ შრომის წარმომადგენლებად გადაქციეს და მით დიდი ინდუსტრია და ეკონომიური ძლიერება შექმნა.

საუბედუროთ, რუსეთში მთავრობა ყოველთვის ხელს უშლიდა, აფერხებდა სწავლა-განათლების საქმეს. სახალხო განათლების საქარველ ხიადაგზე დამყარება რუსების მთავრობას არ მოუტურგებია თვით შიგ რუსეთშიაც და ეწ. განაპირა ქვეყნებში ამ მხრით ხომ მდგომარეობა ზედმეტად აუტანელი იყო.

მეომე, ხანგრძლივი გამოცდილებმა ქართველი ხალხის გვიმტკიცებს, რომ საქართველოში გაღებული გარკვეული თანხა არ ხმარდებოდა განათლების ნამდვილ საქმეში; ეს თანხა ხელს უწყობდა იმ მიზანს, რომლის მისაღწევად ყოფილი რუსეთის მთავრობამ წევრში სკოლა მხოლოდ პოლიტიკურ პროპაგანდის იარაღად გახადა. ამ მიზნის წყალობით ოფლით შექმნილი კაპიტი ჩვენი, ქართველი მუშისა ანუ ქარუველი გლეხისა თუ ხანდახან მის სამშობლო სოფელს უბრუნდებოდა, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ მისი სიმშვიდე დაერღვია, სული ბავშვისა გარეყვნა. დღესაც პირობები სავსებით არ შეიცვალა. საქორთა იმგვარი ზომების მიღება, რომ მართლა განხორციელდეს ხალხის სერთო განათლება და ეს დიდი საქმე ახალ საფუძველზე დამყარდეს; სკოლების გარეგანი პირობების ცვლილებით არ შეიძლება დავკაყოთილდეთ სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ სკოლების შინაგან წესწყობილების გადაკეთებაზე, მათ შინაარსზე; დროა ვფიქროთ სკოლის რეფორმაცხე, ხალხის სწავლა-განათლ. საქმეში ჩვენ ნორჩ სბხელმწიფოს მთელ სივცებზე.

განათლების სამინისტრო ამ ახლო მომავალში გამოაჩვენებს სკოლის სახალ-

ხო განათლების საქმის ახალ ორგანიზაციას და თავის მოსაზრებებს მინისტრთა სამკოს წარმოუდგენს, დღეს კი განათლების სამინისტროს არ შეუძლიან ყურადღება არ მიაქციოს სახალხო სკოლების მასწავლებელთა მატერიალურ მდგომარეობას.

სრული და ნათელი ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ გარემოებას, რომ დღევანდელ პირობებში მასწავლებელთა შრომა შეტისმეტად აუტანელია; ოცდახუთი ანუ ოცდაათი ყოველკვირული გაკითხილი, როცელი შეადგენს სასტიკ და საჭირო ნორმას მასწავლებელთათვის, შეუძლებელია დაახლოვებით კარგად მისცეს ადამიანმა.

როდესაც მასწავლებლის შრომის სათვების რაოდენობას ანგარიშობენ, მხედველობაში არ ღებულობენ, თავდაპირველად, გაკეთილების დროს ზნებობრივ და გონებრივ ინერგიის აღარებელ ხარჯვას, ეს გარემოება კი ნებას არ გვაძლევს გავუთანასწოროთ ეს საათები სხვა რომელიმე შრომის საათებს და შეიძვევ გაკვეთილებისათვის ყოველდღიურ მომზადების აუცილებლობას და სიჭიროებას. მასწავლებლის მოთხოვნა ანუ განმარტება-ახსნა უნდა იყოს უსათუოდ სისტემატურად დალაგებული, საუცხოოდ დასურათებული, ჩამოყალიბებული ნათელ, გარკვეულ და ლამაზ ფორმაში. ამისთვის კი საქორთა ხანგრძლივი შრომა და ფიქრი. ეს ყოველდღიური შრომა იმისთვის, რომ გაკვეთილებისათვის მოემზადოს, მოითხოვს მასწავლებლისაგან 2—3 საათს. დღემეტეო ამას აგრეთვე ერთი-ორი საათის მუშაობის საქორთობა, რომ მასწავლებელმა წაიკითხოს წგნი, ეუზნალო, გაზთი, რათა მან არ დაკარგოს სახე კულტურულად ადამიანისა და ჩვენ დავინახავთ, რომ მასწავლებლის ყოველდღიური შრომის რაოდენობა განასაზღვრება 9—10 საათით ამგვარი ყოველდღიური შრომა შესაძლებელია გასაკუთრებულ პირობებში ერთი თვის დიდი—ორი თვის განმავლობაში, მაგ-

რამ, როდესაც მასწავლებელი ამგვარ შრომას განუწყვეტლივ რაზმენ მე წელს ეტანება, უმკველია იგი ფიზიკურად და ინტელექტუალურად სუსტდება, მაგკარგება კეთილშობილურ ადამიანურ ყოველგვარი თვისება და რაღაც უსულო მანქანად იქცევა: სტატისტიკა ამჟიკებს, რომ მასწავლებელი ვაკილიბით უფრო ადრე კვდება ფიზიკურად და ფსიქიურადაც, ვინემ რომელისაზე სხვა პროფესიის წარმომადგენელი.

ეს აუჩანელი მძიმე შრომა და მსთან დაკავშირებული ზმწყო მატერიალური მდგომარეობა აძიულებს მასწავლებელს თავი დაანებოს თავის პროფესიას და სხვა რამე საქმეს მოჰკიდოს ხელი, ხშირად ნიჭიერი, სიკოცხლი სავსე მასწავლებელი გაუბრბის სკოლას და მით—სახალხო განათლების დიდი საქმე მუღამ დაჭეიოთებული იყო და ღღესაც ფერხდება. ღღეს მდგომარეობა უფრო უნუგეშია; უფრო გაშვევიგბული. სახალხო სკოლის მასწავლებელი წარმოუღდგენელ შვიწროვებულ მატერიალურ მდგომარეობაშია. თუ სახელმწიფომ სწრაფო ზო გზი არ მიიღო, სახალხო განათლების საქმე დიდ საფრხეშია: მასწავლებელი ვერ შესრულდება თავ სკულტურულ როლს სოფრად და ქალაქად და თავის პიკდაპირ დანიშნუებას ვერ ეწახურება, მას და მისს ოჯახს ფიზიკური განადგურება მოილის და სახელმწიფოს მოვალეობაა შეტწარჩუნოს მას ადამიანური ძალიბი. ღღეს სხვა მხრივ მისს მდგომარეობის და შრომის გაუმჯობესების შესახებ ვიკრას გახდებით. ერთადერთი საქმე, რომელიც შესაძლებელია ღღეს—ეს მისი მატერიალურ მდგომარეობის ცოტათ თუ ბევრად გაუმჯობესობაა, რომ ამ გადაწყვეტ ისტორიული მომენტში მან თავისი კულტურული დანიშნულება პიონათლად შესრულოს და მით ხორჩ სახელმწიფოს სათანადო სამსახური გაუწიოს.

ღღეს სახალხო სკოლის მასწავლებელს 210 მ. აქვს თვეში: აქედან 120 მან, მისი ძირითადა გამაგიკრია, 90 მან კი სიძვირის გამო დანატეია. 210 მან,

ყოვლად შეკძლებელია მასწავლებლის და მისი ოჯახს სუაქიროეს მოთს დილობათა დაკმაყოფილება. ის წარმოუდგენელი სიძვირე, რომელიც ებლა ჩვენშია, შეიძლებემ ქმნის მასწავლებლის ცხოვრებას. მასწავლებლის წინაშე ამგვარი ალტერნატივაა ღღეს: ან უნდა დაარჩეს სკოლაში და სიმშილით მოკვდეს, ანდა უნდა დაანებოს სკოლის თავი და სხვა პროფესიაში მოსძებნოს ხსნა. ამისთვის, თუ კი გვინდა სახალხო სკოლის მასწავლებელი შევიწჩნათ, დაუყონებლევ გამაგიკრი უნდა მოუშუტოთ.

რ საევირველია, სრულიად უზრუნველყოფა მისი, მთავრობას არ შეუძლია, მაგრამ ცოტათი უნდა შეუშუსუტოთ მდგომარეობა. განათლების სამინისტრო ფიქრობს, რომ სასურველი იქნებოდა—სახალხო სკოლის მასწავლებელს თვეურ გამაგიკრი ოთახის მნეიი ჰქონოდა, მაგრამ ეს ზედმეტად დიდ ხარჯებს გამოწვევს. ამიტომ ამთავად აუცილებლად მიიჩნია, რომ სახალხო სკოლის მასწავლებლის გამაგიკრი უმაღლეს პირველ დანწყებთ სკოლების მასწავლებელთა გამაგიკრის გაუთანასწორობა.

უმაღლეს დწყებთ სკოლების მასწავლებლები ღღეს ღღეს ღებულობენ თვეში 325 მ მაშასადამე სახალხო პირველ დწყებით სკოლების მასწავლებელს უნდა მოემატოს თვეში 115 მან.—განსხვავება 325 მ. და 210 მან.

ამ ტამად ტუილისა გუბერიაში 790 მასწავლებელია, ქუთაისის—1736, ხოლო სოხუმის—200.

ამგვარად, მიმდინარე 1918 წლის 1 სექტემბრიდან 1919 წლის პირველ იანვრამდე საქარო იქება ზედმეტი ხარჯების დასაფრავად:

1. ტვარ. გუბ. სახ. სკოლებს 790 მასწ. $115 \times 790 = 90\ 850$ მან.
2. ქუთაისის გუბ. 1736 მასწავლებ. $115 \text{ მ.} \times 1736 = 199,640$ მან.
3. სოხუმის ოლქი 200 მასწავლებელს $115 \text{ მ.} \times 200 = 23.000$ მან.

სულ კვლად ... 313.490 მან. ხოლო 4 თვეში $3,3490 \text{ მ.} \times 4 = 1253960$ მანათ. მინისტრი გ ღ სხამვიდო.